

K 223  
1




792 (47.922), 1876-1926

50

მელიტაზი

საბურგოვნის თავაცრის

1876 — 1926



ტელეგრაფიული

1926 წ.

1193. 293. / 18X13 / 50

## კულტურული დღესაცემული

საგარეჯოს არ ახსოვს ასეთი დღესასწაული. მის ცხოვრების მატიანეში არ არის აღნიშნული არაფერი სეთი რაც კი შეიძლებოდეს შეედაროს დღევანდელ დღესასწაულს თავის მნიშვნელობით. დღეს საგარეჯოს თეატრის შეუსრულდა 50 წელიწადი მის შემდეგ, რაც ორიოდე იავგანწირულ მუშაკმა აღუწერელ მძიმე და ყანდარმულ წერწყობილებით შეპორტკილ პირობებში ჩაუყარეს საფუძველი დიდია და დაუფასებელ კულტურულ საქმეს.

რატომ არის ქვირფასი მთელ მშრომელ საზოგადოებისათვის დღევანდელი კულტურული დატა, რატომ იწვევს ჩვენში იგი განსაკუთრებულ სიმპატიას, საუკეთესო გრძნობებს? თუ თეატრი საერთოდ ერთ-ერთი ბურჯთაგანია საერთაშორისო კულტურის. თუ მას საერთოდ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, — საქართველოს პირობებში, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თეატრი, სკოლასთან ერთად, ერთად-ერთი ბურჯია კულტურის. საქართველოს მაშინდელ პირობებში თეატრის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მისი პირდაპირი დანიშნულების წრით: წარმოადგენების მართვით, იგი გაცილებით უფრო ფართეა. თეატრი ერთგვარი ოზისი იყო, საღაც ფარულად სჩექფდა კულტურის სასიცოცხლო წყარო, რომელსაც ეწაფებოდა მაშინდელი ქართული ლიბერალ-ოპოზიციონური და რევოლიუციონური საზოგადოებრიობა.

ამიტომ არის, რომ საგარეჯოს თეატრის ისტორია ამასთანავე წარმოადგენს საგარეჯოს კულტურულ და საზოგადოებრიობის ისტორიას. ვისაც ახსოვს, ვისაც წარმოდგენილი აქვს, როგორიც აღფრთოვანებით, როგორი

## IV

ენერგიით ემზადებოდენ საგარეჯოს თეატრის პიონერები წარმოდგენის გამართვის, ვინც იცის რა ფართე საზოგა. დოებრივი შინაარსი ეძლეოდა მათ მიერ ამ პირველ წარმოდგენებს—იგი გაიგებს დღევანდელ დღესასწაულის მთელს სიღიადეს.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთად ერთი ლეგალური საშუალება არალეგალური კრების საგარეჯოს აქტიური საზოგადოებისათვის იყო რეპეტიციებზე სიარული. ამ ჩეკეტიციების მონაწილეთ კარგათ ახსოვთ— რამდენი საიდუმლო საკითხი გარჩეულა პიესის ფურცლიდან ფურცლამდე კითხვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია გულმოდგინეთ ადევნებდა თვალს მათ ყოველ ნაბიჯს.

გავიდა დრო. უანდარმული წესწყობილება რევოლუციის ქარიშხალმა მიამსხერია. თეატრს მოეცა საშუალება თავისუფალი განვითარების. მშრომელი საზოგადოება შეუდგა თვითმოქმედებას. თეატრის ოლორძინებას. თეატრმა დაიწყო მუშაობა თავის პირდაპირ დანიშნულების სამსახუროდ. მაგრამ ძველი ბრძოლა მის გარშემო არამც თუ არ დაიკარგა,—ივი დარჩა შესანიშნავ კულტურულ ძეგლათ, რომელიც ძვირფასი უნდა იყოს მთელ ჩვენ მშრომელ საზოგადოებისთვის.

ჩვენი მოვალეობაა მატერიალურად და მორალურად შეუწყოთ ხელი საგარეჯოს დღევანდელ თეატრს. მივცეთ ალორძინების. ივი არის დიდი ომზრდელი ძალა. დიდება ალორძინების. ივი არს დადი აღმზრდელი ძალა. დიდება მის თავგანწირულ პიონერებს. გულითადი მილოცვა საგარეჯოს დღევანდელ თეატრს მის დიდ დღესასწაულის ეამს!

ლევან აღნიაშვილი.

## საგარეჯოს თეატრის არსებობის ისტორია.

საქართველოს თეატრის თავის არსებობის ხანაში გიგანტური ნაბიჯები არ ახსოვს, ამის დამამტკიციურებელია თუ გნებავთ ისიც, რომ ჯერჯერობით დღესაც ვერ შეგვიწია საფუძვლიანი ორიგინალი მწერლობა—თეატრისათვის! შეთვრამეტე საუკუნეში სუსტი სიმი ჩამოჰკრა და მით დაიწყო თეატრმა მოქმედება „სახის-მეტყველების“ სახელწოდებით, ეს იმ დროს, როდესაც ხალხი გატაცებული ყო შაირობა-ხოტებით, აღმოსავლურ ფანტაზიებით და ათასნაირ კეთილ და ბოროტ გმირების თავ-გადასავლებით და ზოაპრებით. აკი იქიდანვე ვერ აიდგა ფეხი ჩვენმა თეატრმა და მცირე გაფანცქალების შემდეგ დავიწყებას მიეცა მისი აღორძინება და განვითარება. თეატრის რესტავრაცია საქართველოში შესაძლებელი გახდა ვორონცოვის ა.-კავკასიაში „ნამესტნიკათ“ დანიშვნის შემდეგ და მერე ისეთი საზოგადო მოღაწის ენერგიისა და თავდავიწყებული შრომის წყალბით, როგორც გვახსოვს გ. ერისთავი. როგორც ვიცით გიორგი ერისთავის ციდით 1852 წ. შეაქმნა ქართული თეატრის განახლების წლად, არამც თუ თეატრის, არამედ, ყოველგვარი ლიტერატურული მოძრაობაც ამავე წლებს მიეწერება. (მაგ., ურნალ „ცისკარის“ დარსება). ქართულმა თეატრმა დაიწყო ფეხის აღგმა „გაყრათი“, ქართულ ტრუპას დაენიშნა ჯამაგირი თვით ვორონცოვის ბრძანებით და ამით თითქოს უზრუნველყოფილი იყო მისი აღორძინება და განვითარება; მაგრამ 1855 წლიდან ვორონცოვი გადაპყავთ და ამის შემდეგ ყოვლად ზენდაცემულნი და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ და შო-

ვინისტურ იდეიებით გაუღენთილნი ხელისუფლების მე-  
სვეურები, თითქმის სამუდამოთ აღშობენ 1855 წლიდან  
გიორგი ერისთავის ქართული ტრუბის მოძრაობას!..

გავიდა დრო, თითქმის ათი წელიწადი და ამ ხნის  
განმავლობაში ქართულს თეატრს აღარ გაუკავანებია სა-  
ზოგადოების წინაშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ  
შინაურ წარმოდგენებს, მოწყობილს ზოგიერთ „ბრწყინ-  
ვალე“ წოდების მანდილოსნების მიერ კანტი-კუნტად  
საქველმოქმედო მიზნებით...

1866 წლიდან მიძინებული გრძნობა ქვლავ იღვიძებს  
და ახალგაზრდათა წრეებში ცდილობენ ქართულ თე-  
ატრს გაუკაფონ თავისი მომავლის ბრწყინვალე გზა; მა-  
გრამ, მათმა ასეთმა მოქმედებამ ვერ შესძლო დიდათ სა-  
ყურადღებო ფაქტების შექმნა, რითაც იგულისხმება ის  
ქაოტიური და შერყეული მდგომარეობა, რომელსაც გა-  
ნიცდიდა მაშინდელი ქართული თეატრი. აი, ასეთ მდგო-  
მაროებაში,—ეს მაშინ, როდესაც თეატრს საკმაოდ არ  
აქვს ფეხი მომაგრებული თვით ცენტრში და ცოცვის  
პერიოდში იმყოფება, სულ რაღაც ათიოდე წლების  
შემდეგ იფურჩქნება, იწყება და ვითარდება სოფლის,—  
საგარეჯოს თეატრი.

საგარეჯოს თეატრი თავის არსებობის ხანაში, ნა-  
ხევარ საუკუნის მანძილზე დიდი ყურადღების მატარე-  
ბელია და უნდა ითქვას, რომ შეიძლება საქართველოს  
თეატრს არ გააჩნდეს სხვა, ამაზე უხუცესი თეატრი პრო-  
ვინციისა; ამიტომ ვალად გვედება მოვიგონოთ მისი  
წარსული დღეს, ეს მაშინ, როდესაც იმართება ზეიმი და  
დღესასწაული 50 წლიან შრომაში გამობრძმედილ სა-  
ხელოვნო ტაძრისა...

ჩვენს წინ გაირბენენ მოვონებანი წარსულისა, ჩვენს  
წინ გაიელვებს აჩრდილი, რომელთაც შეკვენეს და ჩაუ-  
ყარეს საძირკეელი საგარეჯოს თეატრს!

1874 წელს საძირკველი ჩაეყარა საგარეჯოში და-  
ბალ საერო სასწავლებელს, რომლის პირველ მასწავლებ-  
ლად დანიშნული იქნა აწ განსვენებული ალექსანდრე  
ცხვეთაძე. ქართველ მასწავლებელს გარდა თავის პირ-  
დაპირ დანიშნულებისა, ბევრი რამ შეუძლიან გააკე-  
თოს და შეჰქმნას საზოგადოებისათვის, თუ კი საამისო  
ენერგია და უნარი გააჩნია! იგი უნდა იყოს ფაქტორი



ალექს. ცხვეთაძე (კარლაცი.)

ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობისა!.. სახალხო მა-  
სწავლებელი სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ჩვენში  
ძალიან იშვიათი შემთხვევაა, მარტო ის არ კმარა, რომ  
ბავშვებს ანა-ბანა ასწავლოს, მთავარია ის, რომ იგი უნ-  
და გასცდეს თავის მოვალეობის ვიწრო ჩარჩოს და ემსა-  
ხუროს საზოგადოების ინტერესებს ისე, როგორც ამას

მოითხოვს განუვითარებელი საქართველოს სოფელი,— შედარებით განათლებულ მოღვაწისაგან!..

ალექს. ცხვეთაძე თვალსაჩინო პროტოტიპია სახალ-ხო მასწავლებლის. მისი კეთილშობილური სული, რო-გორც გადმოგვცემენ, ვერ დატეულა ქალაქის მოკლე ასპარეზზე და თავის თავი თითონვე გადმოუტყორცნია სოფლად, სადაც ხალხს უფრო უჭირს, სადაც ხალხი სი-ბნელეშია და ყველაზე მეტად სჭირია ხელმძღვანელობა, საუკუნოებით შექმედილ უფსკრულიდან ამოსაყვანად! ალექსანდრე ცხვეთაძემ მასზე დაკისრებული მოვალეობა, როგორც სახალხო მასწავლებელმა, პირნათლად შე-ასრულა. ჩასაც ამ წერილით ვერ ამოვწურავთ, მან ჰე-შმარიტათ დაიმსახურა, როგორც მაშინ უწოდებდენ ად-გილობრივ: „პატარა ღმერთის“ სახელი, მისგან სიკეთე ქმნილი საზოგადოება ალბად შრომისათვის ძვირფას ძეგლს დაუდგამს საუკუნო სახსოვრისათვის!

არ არის დღეს საგარეჯოში არც ერთი კულტურული დაწესებულება, რომ იგი ოეატრის დაარსების წელ-თან ახლოს არ იდგეს; ასეთია „ეპო“, ბანკი, შეკოლა და სხვა, რომელთა დაარსების უშუალო ხელმძღვანელი და ინიციატორი ყოფილა ჯერ ალექს. ცხვეთაძე, ხოლო შემდეგში პატივცემული ნიკო ავალიშვილი.

როდის დაიდგა პირველი წარმოდგენა საგარეჯოში. ა. საკითხი, რომლის გარშემოც დიდი გაუგებრობა დაიბადა ამჟამად იქაურ მოწინავე საზოგადოე-ბაში!.. სამწუხაროთ, უნდა ითქვას. რომ წე-რძლობითი დოკუმენტები არაფერი მოგვეპოება ამის შესახებ და ძალაუნებურათ უნდა დავეყმაროთ ავ-ტორიტეტებს, რომელთაც პირველ წარმოდგენაში მონა-წილეობა მიუღიათ და კოცხალი მოგონებებით აღადგე-ნენ წარსულის სურათებს! არიან ისეთი პირნიც, რომელ-თაც, თუმცა მონაწილეობა არ მიუღიათ პიესაში. მა-გრამ ისე თუ ისე, ან დასწრებით, ან გადმონაცემით შე-უძლიანთ ისეთი ცნობების მოწვდა. რომლის შემოწმე-

ბის შემდეგ საკითხი ნათელი ხდება; რომ ეს გაუგებრობა ერთხელ და სამუდამოო ავიცილოთ თავიღან და ამით თეატრის ისტორიისათვის შევქმნათ სწორი წერილობითი დაკუმენტი, ამიტომ ჩვენ ამ საკითხის გამოსარკვევად ცოტა მეტ ხანს შევჩერდებით!



### ლევან ჩერქეზიშვილი.

ავტორიტეტები, რომელთაც ჩვენ ამჟამად უმთავრესად ვემყარებით, არის ორი, რომელთა შორის არც ისეთი დიდი რაღიკალური განსხვავება არსებობს, მაგრამ ორი წელიც ისტორიისათვის მაინც ღირებულებას წარმოადგენს. პირველი ავტორიტეტი ეს არის პატივცემუ-

ლი ნიკო ავალიშვილი. მისი აზრით, პირველად საგარეჯოში წარმოდგენა დაიდგა 1878 წელს, ამის დასასაბუთებლათ ავალიშვილი თავის მოგონებაში უკავშირებს „იურის“ დამტლვეს ამხანაგობის წესდების“ დამტკიცებას და იმავე საზოგადოების დაარსებას საგარეჯოში; ამასთანავე ერთად იგი გულწრფელად აღიარებს იმასაც, რომ: მაშინ ყოველივე საქმეს ვიჩიტებით თბილისიდან და სოფელთან ახლო ქავშირი არ მქონია-ო, ხოლო 1875 წ. მომიხდა ოჯახურ ნიადაგზე ხანდისხან საგარეჯოში მოსელა, რის დროსაც დაიბადა განზრახვა წარმოდგენის გამართვის-ო. 1877 წელს ზემოხსენებულ წესდების დამტკიცება მთავრობის მიერ, ილია ჭავჭავაძის დახმარებით მოხერხებულა და პატ. ავალიშვილსაც ამის შემდეგ ხშირ-ხშირად დაუწყის სიარული საგარეჯოში, და მხოლოდ საზოგადოების დაარსების შემდეგ (1878 წ. 1 იანვარს) მოხერხდა მისი ინიციატივა—რეისისრობით პირველი წარმოდგენის „პეპოს“ დადგმა. მეორე ავტორიტეტი არის საზოგადოების დამსახურებული მოღვაწე იერემია გულისაშვილი, მისი გადმოცემით, პირველი წარმოდგენა აქ დაიდგა 1876 წელს, ამის დასასაბუთებლათ მოჰყავს თავის ბაქშვობა და კერძოთ კი მოწაფეობის პერიოდი; მისი თქმით: სასწავლებელში მამას გაუგზავნია 1872 წელს 9 წლისა, ხოლო ოთხი წლის მერე მის ძმას იოსებს უკან ჩამოუყანია (ე. ი. 1876 წელს) სხვადასხვა მიზეზების გამო; ეს ამბავი მომხდარა შემოდგომაზე.

განსვინებული ალექსანდრე ცხვეთაძე თბილისში მასწავლებლათ ყოფილა, სადაც თურმე იერემიაც მასწავლებლად ითელებოდა; „ვერ წარმოიდგენთ ჩემს გაკვირვებას,—ამბობს იერემია,—როდესაც ჩემმა ძმამ იოსებმა მითხრა, რომ ალექს. ცხვეთაძესთან უნდა წაგიყვანო, საქმე გადაქვსო“, და ოოგორც ეტყობათ, წასულან კარგი სანოვაგით, აქ ავტორი იგონებს ბავშვურ გულწრფელ განცდებს, რაც ჩეენი ისტორიის პირდაპირ დანიშნულებაში არ შედის;—„ოხუთმეტი წუთის

შემდეგ,—განავრძობს იერემია,—მე და განსვენებული ცხვეთაძე ერთმანეთს ვენვეოდით!.. სალამ-ქალამის; შემდეგ მათ დაუწყიათ თავიანთი „საქმე“ და ეს საქმე გამომდგარა რეპეტიცია, რომელიც ერთი კვირის შემ-



### ნიკო ავალიშვილი.

დეგ განუხორციელებიათ კიდეც! პიესის ჩატარების დროს ისეთ მოვლენას ჰქონია ადგილი, რომ არ შეიძლება ბავშვის მეხსიერებაში ფართოდ არ აღბეჭდილიყოს, სახელდობრ: დაუდგამო თვით ცხვეთაძის პიესა, რომელსაც სათაურათ ჰქონია „ბედნიერი ქორწილი“, სადაც თურმე ქალის როლს (პატარძალი) ასრულებდა გარეჯელი ალექსი ხოხობოვი, ქალურ ტანისამოსში გამოწყობილი, როგორც ეტყობა ქალი უნდა კუზიანი ყოფილი-

ყო და აი სწორედ პატარძლის სცენაზე გაყვანის დროს ზემოხსენებული ხოხობოვი შემკრთალა და მოუგლეჯია კუზი, გაუხდია ტანისამოსი და ტირილითა და ლრიალით გადამხტარა ფანჯარაზე და გაქცეულა. რეჟისორი ჩავარდნილა სასოწარკვეთილებაში და ძალაუნებურათ ჩამოუწევია ფარდა, მიუხედ მოუხედია და დაუნახავს 12 წლის იერებია და, როგორც თითონ გადმოგვცემს, „შენს იქით გზა არა გქვაქს“ -ო, ხელდახელ ჩაუცმევიათ ქალურად, შეუსწავლებიათ ორიოდე წუთში მიხვრა-მოხრა — ტანის გრაცია, ცოდაოდენი სახის მიმიკა და ძალის-ძალათ გამოუყვანიათ სცენაზე, რის დროსაც თითონ მასაც უპირებია გაქცევა, მაგრამ ბოლოს „ბედს“ დამორჩილებია და პიესის ჩატარების საშუალება მიუცია რეჟისორისათვის.

ასეთია ორივე ავტორიტეტის გადმოცემანი, თუ ჩენ მცირეოდენ ანალიზს გავაკეთებთ, დავინახავთ იმას, თუ რომელი წელია საგარეჯოში თეატრის დასაწყისათ, ჩემის აზრით ურყეველი ქეშმარიტებაა ის, რომ 1876 წელი არის საგარეჯოს თეატრის პირველი წელი და აი რატომ: პატიცემულ ნ. ავალიშვილს არავითარი წერილობითი დოკუმენტი მაშინდელი დროის არ წარმოუდგენია, რომ დავრწმუნდეთ 1878 წლის აუცილებლობაში; ისე კი მოგონებით შეიძლება გამორჩეს ან და, როგორც თითონ ამბობს: „თბილისიდან ვიწყებდი ყველა საქმეს და სოფლად არა ვტრიალებდი“ -ო, ადვილი შესაძლებელია მის აქ არ ყოფნის დროს სხვა ვინმემ მოჰკიდა ხელი ამ დიდ საქმეს, თავის თავად ცხადია, პირველი წარმოდგენა (და ისიც სოფლად!) ვერ იქნებოდა ისეთი მნიშვნელობის ან და გრანდიოზული ხასიათის, რომ მაშინდელი პრესა აეხმაურებინა და თბილისში მყოფს გაეგოეს ლირულებისანიშნავი ამბავი; არც იმდენათ დიდ აღფრთოვანებას გამოიწვევდა მასაში, რომ ავალიშვილი, როცა სოფლად დაბრუნდებოდა მისთვის ემბნათ ენტუზიაზმით და სიხარულით. რაც მის მეხსიერებაში უსათუოდ

საუკუნოდ აღიბეჭდებოდა, მეორე მხრივ არიან მოწმენი, რომელნიც აღასტურებდენ იმ წარმოდგენის გამართვას, რომელსაც ნ. აგალიშვილი აღიარებს საგარეჯოში თვატრის დასაწყისად, აქ ისეთი მნიშვნელოვანი ამბები მომზდარა, რომ არავის არ დავიწყებია და მშვენივ-



იერემია გულისაშვილი.

რათ ახსოეთ წელიც და თვის რიცხვიც. თვით იერემია გულისაშვილსაც მოჰყავს თავის მოგონებაში „პეპოს“ დადგმა 1878 წ., მაგრამ არა პირველი იყო ეს წარმოდგენა, არამედ ან მესამე, ან მეოთხე. ამრიგად ყველასათვის ნათელია ის, რომ პატივცემული ავალიშვილს, ვინაიდან სოფელთან ზემო ნათქვამ დროს. ახლო კავშირი არ ჰქონია, . არ შეეძლო თავის იქ არ ყოფნისას გაეგო ის, თუ რა დიდ ნაბიჯს სიდგამდა ისტორია საგარეჯოში; მეორე მხრივ წარმოდგენები გვიან-გვიან იდგმებოდა, ალ-

ბად ხალხში წინა წარმოდგენები დავიწყებას ეძლევოდა  
და ამიტომაც არის, რომ ავალიშვილს, მის მეტ პირვე-  
ლად დადგმული წარმოდგენა ჰგონია საგარეჯოში თე-  
ატრის დასაწყისათ; რაც შეეხება იერემია გულისა-  
შვილის გადმონაცემს, ეს უფრო მთლიანად კეშმარიტე-  
ბას შეიცავს. რადგან ცხობილია, რომ ბავშვისათვის სკო-  
ლაში შეყვანა—იქიდან გამოყვანა,—ისეთი დიდი მნი-  
შვნელობის მქონეა მოწაფის ცხოვრებაში, რომ შეუძლე-  
ბელია დაავიწყდეს მას სოფლად შეხვედრია საყვარელ მა-  
სწავლებელთან, ბავშვური ენტუზიაზმი სოფელში და-  
ბრუნების გამო, სიცოცხლეში პირველად რეპეტიციაზე  
დასწრება, სხვისი სცენიდან გაქცევა და მისი მოულოდ-  
ნელად „გარტისტება“, ეს იმდენათ გრანდიოზულ  
შთაბეჭდილებებს მოახდენდა ბავშვზე, რომ იგი შეუძ-  
ლებელია დავიწყებული იქმნეს საუკუნეების მანძილზე-  
დაც-კი; მეორე მხრივ არსად იგონებს პატივ(კ. ავალი-  
შვილი ასეთ შემთხვევას, რომ ვინმე ხოხობლვი სცენი-  
დან გაქცეოდეთ, ეს ფაქტი კი რომ მომხდარა—უდავოა,  
და თუ ივალიშვილმა პირველი წარმოდგენა გამართა სა-  
გარეჯოში ზემოთ თქმული შემთხვევა მას შემდეგ უნ-  
და მომხდარიყო, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა, წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში შეუძლებელია, რომ არ იყოს მოგრ-  
ნებაში აღნიშნული ასეთი კომიკური მოვლენა! მაშასა-  
დამე, გვრჩება ის, რომ პირველი წარმოდგენა იქმნა გა-  
მართული არა 1878 წელს, როგორც ავალიშვილს გონია,  
არამედ 1876 წელს. არ შეიძლება ფაქტის ნათელსაყო-  
ფად არ დაუმატოთ სხვა მოწმეთა ჩვენებაც, ასე, მაგა-  
ლითად: პირველი წარმოდგენის რეჟისორი პატივც. ლე-  
ვან ჩერქეზიშვილი ყოფილა ნათლია მჭედლიშვილისა,  
რომლისთვისაც, როგორც ნათლიდედასთვის დაუპატი-  
უია რეჟისორს ახალ „სანახაობაზე“ დასასწრებლად, მა-  
გრამ იმუამად მჭედლიშვილისა ყოფილა ფეხმძიმეთ და  
უარი შეუთვლია, არ გასულა ორი კვირა, რომ მჭედლი-  
შვილისას ჰყოლია ვაჟიშვილი გიორგი.—საიუბილეო

ქომისის გამომქველევ სექციაშ გადასინჯა გიორგი მჭე-  
დლიშვილის მეტრიკული წელი სამისო დავთარში და  
აღმოჩნდა იგი დაბადებული 1876 წელს. დღეს გიორგიც  
ცოცხალია და მისი დედაც, როთაც უფრო ადვილდება  
ზემო ნათქვამ წლის დადასტურება, გარდა ამისა საზო-  
გადოებიდან ამავე წელს ამოწმებენ პატივც. იოსებ ქურ-



ალექსანდრე მედლიშვილი. (გარდაცვ.)

დოვანიძე, ს. არუთინოვი, თვით პირველი რეჟისორი  
ლევან ჩერქეზიშვილი, ორმელმაც წერილობითი ცნობა  
მოგვაწოდა, და სხვები. ასე რომ ისტორიული ქვლევა-  
ძიების შემდეგ ხელთა გერჩება საგარეჯოში თეატრის  
დასაწყისათ ერთად-ერთი წელი, სახელდობრ 1876 წ.,  
რომელიც ყოველმხრივ გამართლებული და უკვე მიღე-  
ბულია საზოგადოების მიერ, მთლიანად და ურყევლად...


როგორც მკითხველი დაინახავს, პროველი წარმო-  
დგენი დაიდგა საგარეჯოში 1876 წელს. ამ წარმოდგე-  
ნის მთავარი ინიციატორი და იდეური ხელმძღვანელი

ყოფილა განსვენ. ალექს. ცხვეთაძე, ხოლო ჩეუისორად პატივც. ლევან ჩერქეზიშვილი. დაუდგამთ თვით ალექს. ცხვეთაძის პიესა „ბელიერი ქორწილი“-ს სათაურით; დარბაზი მოუწყვიათ შენობაში, რომელსაც დღეს საგარეჯოში ეძახიან ზემოთა სკოლას და ომელიც მაშინ ახლად ყოფილა დასრულებული; სცენა ქონიათ პრიმიტიულად მოწყობილი; სახელდახელოთ გამართულ სცენაზე სამ გვერდზე ყოფილა ჩამოფარებული ტილოს ზეწრები, სკოლის ოთახიდან აულაგებიათ პარტები. შეუგროვებიათ ოჯახებში სკამები და ისინი ჩაუმწკრივებიათ. დარბაზი მთლიანად სავსე ყოფილა ხალხით (ალბად ახალ სანახაობით დაინტერესებულან).

მონაწილეობა მიუღიათ: ალექსანდრე ცხვეთაძეს, მის ძმას იოსებს, ლევან ჩერქეზიშვილს, იოსებ გულისაშვილს და, რადგან მაშინ ერთ მოუხერხებიათ სცენაზე ქალის გამოყვანა, ადგილობრივ ვაჟ-მოწაფესათვის ალ. ხონიაშვილის ჩაუცმევიათ ქალურად პატარძლის როლში, როგორც ეტყობა პატარძალი უნდა კუზიანი ყოფილიყო, ხონიაშვილის სცენაზე გავლის წუთებში შემკრთალა, მოუგლებია კუზი, გაუხდია მოსართავები-ტანისამოსი და ტირილითა და ლრიილით გადამხტარა ფანჯარაზე და გაქცეულა, რის შემდეგაც 12 წლის იერებია-სთვის უტაცნიათ ხელი, საჩაროო ჩაუცმევიათ, ცოტაოდენი დაურიგებიათ და გამოუყვანიათ სცენაზე ძალის-ძალათ-იძულებით და კინალამ მასაც უტირნია!..

პირველი წარმოდგენა იმდენად დამაკაყოფილებელი გამომდგარა საზოგადოებისათვის, რომ მათ დაუწყიათ თხოვნა ხშირ-ხშირად გვიმართეთ ასეთი სანახავებიო. მეორე წარმოდგენა დაიდგა იმავე ზამთარს, ვინაიდან პირველი პიესა ჩაატარეს გვიან შემოდგომაზე, ჩეენ ვფიქრობთ, რომ მეორედ თეატრი უნდა გაემართად 1876 წლის ან ნოემბერში, ან დეკემბრის დასაწყისში... დაუდგამთ „ძუნწი“ გიორგი ერისთავისა, იმავე სკოლის დარბაზში, კვლავ ლევან ჩერქეზიშვილის. რეჟისორო-

ბით. ამ პიესის დადგმის დროსაც იმდენად დამახასიათებელ მოვლენებს ჰქონია აღილი. რომ ყოვლად შეუძლებელია მოგონების სისწორეში ეჭვი შევიტანოთ. ძუნწის როლს ისრულებდა თურმე თეით რეჟისორი ლევან ჩერქეზიშვილი, ვინაიდან მაშინ გრიმები იშვიათი ხილი ყოფილა, ცხვირი ამოუჭრია ნიღაბიდან და ის გაუ-



### ლიზა ვაშაკიძე.

კეთებია, მაგრამ მოქმედების დროს ცხვირი მოვარდნია და დაუკარგია, რასაც მოჰყოლია საერთო სიცილ-ხარხარი, თუმცა ბევრი უძებნიათ, მაგრამ ეელარ უბოვიათ... ამავე პიესაში თამაშობდა თურმე შიგნითკახეთიდან თოსლიაურში სტუმრად მოსული ქალი ვინმე მართ მაყაშვილი, რომელიც სცენაზე მოქმედების დროს შემკრთა-

ლა და ერთ ადგილას სულ გაჩუმებული კიდეც და დაუწყია ბავშვივით კანკალი. ძუნწის აღმსრულებელს, იმავე დროს რეეისორის პატივც. ჩერქეზიშვილს დაუყვიონია ყველასათვის გასაგონათ: „ხელი მაინჯ მკარ და გამარციდე, თუ ენა ჩაგივარდა“-ო. (ეს იმ დროს მომხდარა, როდესაც ძუნწი ქუბოში წევს).

1876 წელმა ახლად ააღმევინა საგარეჯოს თეატრს ფეხი და „ძუნწიო“ „სეზონი“ დაამთავრა. შემდეგი წარმოდგენა უკვე 1877 წელს დაუდგამო, ეს მაშინ, როდესაც ოუსეთ-ოსმალეთს შორის ომი უკვე ყოფილი გაჩაღებული. თეატრის დარბაზით ისევ ის სკოლის შენობა ჰქონიათ, მონაწილეობა მიუღიათ ისევ იმ პირთ. ხოლო ქალების როლში გამოსულან იმავე სკოლის მოწაფენი სედრაკ არუთინოვი და აწ გარდაცვალებული ნიკოლოზ ქურდოვანიძე. ამის შემდეგ როგორც სჩანს—წარმოდგენების მართვა იღარ უნდა შეწყვეტილიყო—და ჩენე ცფიქრობთ. რომ, ვინაიდან საგარეჯოში 29 ივნისი (ქ. ს.) პეტრეპავლობა დღე დიდ ტრადიციულ დღესასწაულათ და მინეული. ამ დღით, ყოველთვის უნდა გამართულიყო წარმოდგენები. რასაც ადასტურებენ სათანადო მოგონებებში ძევლი მოწმენიც! 1877 წელს ზაფხულში სად ან რა პიესები დაიდგა, ჩვენ ამის შესახებ არა გვაქვს დაწერილებითი ცნობები, ხოლო 1878 წლის ზაფხულს კი დაუდგამოთ „პეპო“ სუნდუკი ანცისა, ბაქრაძის მიერ ქართულად ნათარგმნი—სომხურიდან. იმ ხანებში პატივც. ნიკო აკალიშვილი მიუტრიალდა სოფელს და შეუდგა წინასწარ მუშაობას საზოგადოება „ეპოს“ დასაარსებლად. რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი 1878 წლის 1 იანვარს. ნიკო ავალიშვილი საკმაოდ ცნობილია, საქართველოში. როგორც საზოგადო შოლვაწე და როგორც ასეთს, თავისუფლად შეეძლო სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა ახლად ფეხ ადგმულ თეატრისა, მან გაცემო ისეთი ყმაწვილ კაცობა, რომელთაც ჰქონიათ უნარი სცენაზე მოღვაწეობის და 1878

შელს პეტრეპავლობა დღეს მათი შემწეობით დაუდგავს კიდეც „პეპო“. — ზემოხსენებული პიესა დაუდგამთ ბაზ-რის ქუჩაზე ვარსიაშვილის ეზოში, — ეზო იმისთვის აურ-ჩევიათ, რომ წინასწარ სცოდნიათ, რომ მადა აღძრული



### ვანო მჭედლიშვილი.

ხალხი აღარ დაეტეოდა სკოლის დარბაზში; სცენა გაუ-  
მართიათ სახლის აივანზე. აივნის წინ მდებარე ეზოში  
ჩაუმწკრივებიათ ოჯახებში ნათხოვნი სკამები, — პიესაში  
მონაწილეობა მიუღიათ: შაქრო გულისაშვილს (კაკული),  
ნიკოლოზ ოქროშვედლიშვილს (გიგო), ბარბარე მჭედ-  
ლიშვილს (შუშანა), რაფიელ ზუკაკიშვილს (ზიმზიმოვი),  
ვანო მჭედლიშვილს, იერემია გულისაშვილს, საგანელის  
მეულლე — იოსელიანის ქალს (კეკე) და სხვებს. ამ წარ-  
მოდგენას იმოდენა ხალხი დაესწრებია, რომ ეზოც აღარ

იტევდა თურმე. ბილეთებიც აღარ იშოვებოდა და ბევრ-  
მა მოწერდინა უბილეთოთ შესვლა. მაგრამ არ გაუშვეს;  
აგერ აიხადა თარდა და მაყურებლის წინაშე წარსდგენ  
გრიმებში გამოწყობილი მსახიობები, მაგრამ ამ დროს,  
გულდაწყვეტილს, კარში დარჩენილებს, აუტეხიათ ქვის  
სროლა, ერთი ქვა მოხვედრია ავეტიქ არუთინოვს თავში  
და სისხლს დაუწყია ჩქეფვა, ხალხი არეულ-დარეულა,  
შეიქმა მღელვარება, საჭმე იქამდის მისულა, რომ ჩხუბ-  
ში გრიმებში გამოწყობილი მსახიობებიც ჩარეულან, ხალ-  
ხი დაუშოშმინებიათ. ქვის მსროლელთა მთავარი ხელ-  
მძღვანელი ვასილ რევაზოვი დაუჭერიათ, მაგრამ იარა  
ეერ გამრთელებულა და ერთხელ არეული ხელი ვეღარ  
დამშვიდებულა, რის გამოც ზემოხსენებული წარმოდგენა  
ჩაშლილა. შემდეგ პიესისათვის დაუწყია მზადება ნიკო  
ავალიშვილს, მას ამჟამად სათანადოთ შეურჩევია ხალ-  
ხის სულიერ საზრდოსათვის აღლო და 1878 წლის  
ზაფხულს დაუდგამს „არსენა“—ალექსანრდე ყაზბე-  
გისა. ეს პიესა დადგმულა ქურდიანთ კალოზე. კალოობა  
უკვე მორჩენილი ყოფილა, კალოზე ჩაურგიათ ხის მწვა-  
ნე ტოტები—ტყისათვის და პიესა მშვენივრათ ჩაუტარე-  
ბიათ. აქვე უნდა აღინიშნოს ის თავგანწირული და  
მხურვალე მუშაობა, რომელსაც აწარმოებდენ ზემოთ  
დასახელებული მსახიობნი; ყველათერმი ისინი ყოფი-  
ლინ: მსახიობნიც, სცენის მომწყობნიც, საამისო ფიცრებს  
თურმე ეზიდებოდენ სხვადასხვა უბნებიდან და როგორც  
გადმოგვცემენ თითონცე: „ხშირად ზურგზე ტყავი გვქონ-  
და გადამძრალი, ფიცრების ზიდვით!“-ო. მაგრამ ჩენ  
მაინც კმუშაობდით, რაღაც ზე-აღმტაც სიხარულით—სი-  
ხალისით და თავდავიწყებით“. სწორეთ, რომ დიდ  
ჯილდოს და დიდების ლირსნი არიან ჩენი თეატრის ძვე-  
ლი მუშაკნი! ამ ხანებიდან თეატრალური მოძრაობა საკ-  
მაოდ განვითარდა, მას მოჰყვა აგრეთვე სხვადასხვა კულ-  
ტურული დაწესებულებები, „ეპო“, ბანკი (ეს უკანასკ-  
ნელი დაარსებულია სასოფლო სკოლის ზედამხედველის

ბესარიონ ლოლობერიძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით), სამკითხველო და სხვა. საგარეჯოში დაიწყო საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა. თეატრი ერთად ერთი იყო, რომელიც ამ ხანებიდან თავის გარშემო იკრებს ყოველგვარ კულტურულ მოძრაობას. დაწყებულ საქმეს განაგრძობდენ თბილისიდან საგარაკოთ ჩამოსუ-



### ბარბარე მჭედლიშვილი-ალნიაშვილისა.

ლი ადგილობრივი მცხოვრები მოწაფეები, რომელნიც ყოველ ზაფხულს სამ ან თოხ წარმოდგენას მაინც ჩატარებდენ ხოლმე. ძველი რეჟისორებიდან, ჩერქეზი-შვილი ალარ ჩანდა, ალექსანდრე ცხვეთაძე ახლა სხვა საქმეებში გაიტაცეს. ავალიშვილიც სამსახურის გამო 1882 წლიდან გადასცვანეს სხვა მხარეს, მაგრამ ყველა ამას ვერ შეუწყვეტია საგარეჯოში თეატრის ერთხელ დაწყებული საქმე; მას განაგრძობდენ ზემო ნახსენები მოწაფეობა და ახალი ენერგიული ძალები. ყოველ შემთხვევ-

ეაში, ზაფხული ისე არ გაივლიდა, რომ აქ წეტრე-  
კავლობა დღეს წარმოდგენა არ გამართულიყო. სამწუ-  
ხაროთ ჩვენ არა გვაქს ხელში არავითარი წერილობითი  
ცნობები, რომ ამით შესაძლებელი გახდეს აღდგენა იმი-  
სა, თუ როდის რა პიესები დადგეს. ხემოხსენებული წარ-  
მოდგენებიც, — რადგან წერილობით საქმეებს არ აწარ-  
მოებდენ. — ალბათ მეხსიერებიდან ამოიშლებოდა, რომ  
რაიმე არაჩვეულებრივ მოვლენას არ ჰქონიყო აღგილი,  
შემდეგ კი, როდესაც ხელმძღვანელი საკმარისად და-  
ხელოვლენ წარმოდგენების მართვაში. თავის-თავად  
ცხადია ზემო თ-მულ მათ ხი', მოურა ჩბას ადგილი აღარ  
ექნებოდა, რომ ამით დიდი შთაბეჭდილებები აღბეჭდი-  
ლიყოს დამსწრებზე, რაც გაადვილებდა შეძლებში მო-  
გონებებს და წლების აღდგენას; ყოველ შემთხვევაში  
ჩვენმა თეატრმა თავისი მოქმედება დაიწყო კომიზმით  
და შემდეგში თანდათანობით სერიოზულ სახეს ღებუ-  
ლობდა.

1880 წლიდან საგარეჯოს მსახიობნი იმდენად და-  
ხელოვნდენ, რომ გასცდებ თავიანთ სოფლის არეს და  
წარმოდგენების მართვა დაიწყეს მეზობელ სოფლებშიც  
(მაგ., პატარძეულს, თოხლიაურს, გიორგიშვილის). ასე,  
მაგალითათ: იერემია გულისაშვილის და ნიკოლოზ აჭ-  
რომეულიშვილის ხელმძღვანელობით 1882 წელს გა-  
იმართა წარმოდგენა სოფელ პატარძეულში. აქ მოთამა-  
შენი სულ კაუები, ყოფილან. სადაც ქალი იყო საჭირო —  
ქალურად ჩაცმულან და ქალურ ხმაზე ლაპარაკისათვის  
თურმე სასაცილოდ წიკვინებდენ. სხვაგანაც ყოფილა ჩა-  
ტარებული წარმოდგენები, მაგრამ ვისი ხელმძღვანე-  
ლობით ან როდის. — ეს კი არავის ახსოეს...

1895 წელს საგარეჯოს თეატრმა დაიწყო ქვილ-  
მოქმედობა. მას პირნათლად ესმის თავის მოვალეობა და  
ცდილობს საზოგადოებას გაუწიოს შეძლებისდაგვარად  
აქტიური დახმარება ასე მაგალითად. სენებულ წელს

გამართულ წარმოდგენების შემოსავლიდან ადგილობრივ სკოლის ლარიბმოწაფეობას უყიდეს ხალათები და სსვა გაჭირებულთ კაბები და საერთოდ ტანსაცმელი.



თეატრში დააინტერესა საზოგადოება (სოფლად საზოგადოება გლეხეკაცობას ჰქვია) და ოლბათ ეს იყო მიზეზი, რომ 1894 წელს დასდგეს ცოტათ თუ ბევრათ ისეთი როგორი პიესა, როგორიც არის გუნიას „და-ძმა“. დაუკ-

გამო ქურდიანთ საძნე ჩარდახზე, სადაც დარბაზი ყოფილა მოწყობილი, ხოლო სცენა გაუმართავთ კალოზე, მონაწილეობა მიუღიათ: ელენე ბილანიშვილს (მარინე), ზაქრო ბილანიშვილს (გიორგი), ლენტო გულისაშვილს (გიორგი) და სხვებს. წარმოდგენა, მიუხედავათ ტეხნიკურ დაბრკოლებისა. მშვენივრად ჩაუტარებიათ, განსაკუთრებით ალტაცებაში მოუყვანია საზოგადოება ლენტო გულისაშვილის მოხდენილ და ცოცხალ თამაშს. 1895 წელს ზაფხულში დაუდგამთ „კიბირელი“. უმთავრესი მონაწილეობა მოუღიათ იგივე ბილანიშვილებს. ოფორტუ გადმოგვცემს ალექს. არუთინვი.

1896 წელს ქურდიანთ კალოზე გაუდგამთ „თამარ-ბატონიშვილია“: ოფორტუ დამსახურებული მსახიობი ლიზა ვაშაკიძე გადმოგვცემს, მონაწილეობა მიუღიათ ბილანიშვილებს (დებს და ძმებს); სცენის მომწყობნი სოლიკო და გიგო ქურდაშვილები; პიესაში მონაწილეობა მიუღიათ, გარდა ბილანიშვილებისა, ლიზა ვაშაკიძეს და სხვებს. ომელთა გვარებიც ისტორიისათვის გამოურკვეველი რჩება. 1897 წელს სხვა პიესების გარდა დაუდგამთ დ. ერისთავის „სამშობლო“, სადაც მონაწილეობა მიუღიათ მეზობელ სოფლის სცენის მოყვარეთაც. ასე, მაგალითად: იოსებ იმედაშვილს (შაჰი), დათიკო ნახუცრიშვილს (ლეონიძე); ადგილობრივთაგან: ლენტო გულისაშვილს (ხიმშიაშვილი). დართ გარსიაშვილს (ფაიხოში), თამარ ავალიშვილს (გლეხის დედაკაცი), ლიზა ვაშაკიძეს (ქეთევან), კოლო ქურდოვანიძეს (გლეხის ბიჭი); თათრის როლები შეუსრულებიათ სპ. ბედიაშვილს, სამსონ მჭედლიშვილს და სხვებს. თუ ოფორტუ მაყოფილებას პპოვებდა საზოგადოებაში ისეთი პიესები. ოფორტუ იყო „სამშობლო“ და „თამარ-ბატონიშვილი“, ამის თქმა მეტად ძნელია. მხოლოდ ეს კია, რომ ხალხი ყოველთვის უამრავი ესწრებოდა.

1898 წელს აღსანიშნავია „არსენას“ დადგმა ხელმეორედ. საერთოდ, უნდა როგორს, ომი ისეთი პოპულია-

რული პიესა ფართო მასებისათვის, როგორიც არის „არ-სენა“ შეიძლება ქართული თეატრის ისტორიაში მეორე არ მოიპოვებოდეს. გლეხეცაცობა არსენას მოქმედებაში ჰპოვებდა თავის მრავალსაუკუნიან ტკივილების მწიურ გადმოშლის და ამიტომაც იყო, რომ იგი მუდამ საყვა-რელ პიესათ ითვლებოდა სავარეჯოში. არამცთუ წინეთ.



დიმიტრი ჭაბადარი (გარდაცვ.)

არამედ დღესაც,—უახლოეს წლებში რამდენიმეჯერ და-უდგამთ კიდევ. იმ წარმოდგენის რეჟისორი ყოფილა სა-შა მჭედლიშვილი და, როგორც დამსწრები გადმოგვცე-მენ, საგარეჯოს თეატრს მისთანა უანგარო მუშავი და ძვირფასი რეჟისორი ნაკლებად ჰყოლია; არსენას როლი შეუსრულებია თითონ საშა მჭედლიშვილს, ნინოს რო-ლი—ლიზა გაშაკიძეს, სიღონიასი,—თამარ ბერლიშვილს და სხვ. ხალხი. როგორც სხვა წარმოდგენებზე, აქაც უსახლებო დასწრებია და მაღაშლილი გლეხობა დამთ-ვრალა ხელოვნების ძლევამოსილ შარავანდედით, მიუ-

ხედაცათ იმისა, რომ მრავალი ტეხნიკური დაბრკოლება უშლიდა ხელს წარმოდგენას. ამიტომაც იყო, რომ ამ ხანებში ძლიერ გახშირებულა წარმოდგენების მართვა: 1885 წლიდას საგარეჯოში ორც ერთი ზაფხული არ ყოფილა, რომ 4—5 წარმოდგენა არ დაედგათ; ასეთი სიხშირით, თავის-თავად ცხადია, ადგილობრივი მსახიობნი საქმაოდ მომწიფებოდენ; ამის დადასტურება შეიძლება თუ გნებავთ ისეთი სერიოზული პიესების დადგმითაც. როგორიც არის, მაგ., „სამშობლო“. ერთი კი ცხადია, რომ დაწყებული 1876 წლიდან, რაკი ერთი წარმოდგენა დაიდგა საგარეჯოში. მას შემდეგ აღარ შეწყვეტილა აქ თეატრის მოძრაობა და მოღვაწეობა, ყოველ შემთხვევაში, თუ შეწყვეტილა, თვეების მანძილზე და არა წლებისა.

1898 თუ 1899 წელს დაუდგამო იერემია გულისა-შვილის პიესა „დრონი მეფობენ“. მონაწილეობა მიულიათ: თვითონ ავტორს, ბაბო გულისაშვილს. ლიზა კაშაკიძეს. ს. ბელიაშვილს. სამსონ მჭედლიშვილს, ალექს. არუთინოვს. მიხ. მუჩამანიშვილს, კატო მაყაშვილს—გაბელაშვილს და სხვებს: ეს უკანასკნელი ძალით გამოუყვანიათ: როგორც ლიზა ვაშაკიძე გადმოგვცემს: ამბობდა, „სირცეშვილია“—.

ასე და ამგვარათ მოაღწია საგარეჯოს თეატრმა 1900 წელს. აქ ერთი რამ უსათუოდ აღსანიშნავია. სახელდობრ ის, რომ თუ წინა წლებში თეატრის ხელმძღვანელთათვის ქალის სცენაზე გამოყვანა თავსატენი საკითხი იყო, ამის შემდეგ ასეთი დაბრკოლება აღარ ელობებოდათ წინ. ვინაიდან სოფლის ეპვიანმა საზოგადოებამ დასძლია ტრადიციებს, სირცეშვილს, შეხედულებაც გამოიკვალა (იყვნენ ისეთები, რომელნიც თეატრში გარყენილების მეტს არაფერს ხედავდენ!) და უკვე თავისი ქალიშვილები აღჭურვა სათანადო უფლებებით სცენაზე გამოსასვლელად. გაჩნდენ ქალთა რიგებში: ლიზა ვაშაკიძე (რამსაც, მსახიობი), ბაბო და მინაცორა გულისაშვილები. კატო გაბელაშვილი,—თუმცა იშვიათ, მაგრამ მარც. ბილანიშვილის ქალებიც მოღვაწეობ-

დენ. ამის შემდეგ ხომ უფრო გაადვილდა საგარეჯოს ოქატრის მოქმედიანობა. საჭირო იყო ქალის მიერ ძველი მამაპაპური ადაოების, ტრადიციების და კარჩაკეტილობის ჩინურ კედელზე გადასცლა. მისი გარღვევა, გადალახვა, რაც ზემო დასახელებულ ქალთა წარმომადგენ-



### კოლა ქურდოვანიძე.

ლებმა შესძლეს. და ამის შემდეგ თეატრის განვითარებასაც ფრთხები შეესხა. ამ ხანებში წარმოდგენების დადგმა გადაუტანიათ სპირდონ ჯაბადარის ეზოში, შემდეგ გადასულან ზაქარია ქურდოვანიძის ჩარტახში, თუ რა პიესები დაიღვა, ამის შესახებ დაწერილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ ერთი კი უნდა ითქვას: რადგან ბილეთები შემოღებული ყოფილა შესასვლელად; წარმოდგენაც უსათუოდ ფასიანი იქნებოდა. საინტერესოა რას ხმარდებოდა შემოსავალი და სწორეთ აქ არის ჩვენი ძველი მსახიობების უანგარობა და გულწრფე-

ლი მუშაობა აღსანიშნავი; მაშინ მსახიობი თავის შრომაში გასამრჯელოს არ იღებდა, და თუ წარმოდგენა ფასიანი იყო, შემოსავალი ხმარდებოდა საქველმოქმედო მიზნებს; ასე, მაგალითად, სამკითხეველოსთან თეატრს მუდამ მტკიცე კავშირი ჰქონდა. საგარეჯოს თეატრმა საძირკველი ჩაუყარა სამკითხეველოს 1888 წლიდან დაშემდეგშიც სულ იმას ცდილობდა, რომ სოფლად ამ, ყველაზე უფრო უსაჭიროს კულტურულ დაწესებულებას რაიმე გასაჭირი არ დასდგომოდა. ამიტომაც იყო, რომ უფრო მეტ წილად სამკითხეველოს სასარგებლოდ იდგმებოდა წარმოდგენები. ეს არის კიდეც იმის მიზეზი, რომ ჩვენს სამკითხეველოს თავიდანვე ჰქონდა 3.000—5.000-მდე სხვადასხვა შინაარსის წიგნები, გარდა ამისა, ყველა მსახიობი მოვალე ყოფილა. რომ სამკითხეველოს წევრი ყოფილიყო, რათა საწევრო გადასახალითაც უზრუნველეყოთ სამკითხეველოს არსებობა. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენებიდან შემოსავალი ხმარდებოდა აგრეთვე რუსეთში წასულ ლარიბ სტუდენტობას; ამ მიზნით არა ერთი და ორი წარმოდგენა დაუდგამო საგარეჯოში. როგორც ძევლები გადმოგვცემენ, თეატრი შეძლებისდავარათ ეხმარებოდა ავტორები. სხვა კულტურულ დაწესებულებებსაც.

1901 წელს საგარეჯოს თეატრმა მიდენათ შეითვისა ხელოვნება. რომ პეტრე-პავლობა დღეს დასდგეს მაშინდელ დროისათვის ურთულესი პეისა „დაღატი“, რომელსაც უამრავი ხალხი დასწრებია, ისე რომ ბილეთები აღარ იშოვებოდა თურმე და ბევრი გულჩათუთქული გაშორდა წარმოდგენას (ალექს. არუთინოვის მოგონება).

1902 წლამდე საგარეჯოს თეატრმა მოიარა მაშინდელ. ცოტათ თუ ბევრათ განვითარებით მაღლა მდგომ, ოჯახების კალოები. ჩართახები, ეზოები და სხვა; ეხლაკი, როდესაც თეატრის საქმიანობა საქმაოდ მომწიფდა, შეუძლებელი-ლა იყო აქა-იქ სიარული და მუდამ ადგილის ძებნა; ამასთანაც ერთად ძნელი იყო, რასაკვირ-

ცელია, ფიცრების ზურგით ზიდვა, სკამების შოვნა, მოე-  
ლი მოწყობილობის ხან აქეთ და ხან იქით თრევა. ამას  
გარდა გამოჩენდენ ისეთი ძალებიც, რომელთაც სისტემა-  
ტიურ მუშაობისათვის დიდი ენერგია გააჩნდათ. ესენი  
იყვნენ: ქალები—ლიზა ვაშაკიძე, სოფიო ბერიძისა, და-  
რო მაისურაძე, მართა ხატიაშვილი და სხვანი, ვაჟები—  
იერემია გულისაშვილი, საშა ქურდიანი, იაშა ბერიძე,  
კოტე მჭედლიშვილი, რეზო ჯაბადარი, ნ. ქვლივიძე, ნ.  
ქურხული და სხვანი. აგრეთვე გამოჩენდა ისეთი თავდა-  
დებული ხელმძღვანელი და გულმოლგინე მუშაკი საგა-



ნიკოლოზ ბაზიეროვი.

რეჯოს ოეატრისათვის, როგორიც იყო აწ განსვენებული  
აღექს. (საშა) მჭედლიშვილი. ყველა ამ მიზეზებმა აიძუ-  
ლეს საგარეჯოს ოეატრის სცენის მოყვარენი, რათა დაე-  
ქირავებინათ 1902 წლიდან გილაანთ ჩარდახი რეგუ-  
ლიარულად წარმოდგენების გასამართვად. ამ წლიდან  
იწყება საგარეჯოში წესიერი მოქმედება. მანამდე, თუ  
წარმოდგენების დადგმას შემთხვევითი ხასიათი პქონდა,  
და ისიც ტრადიციულ დღესასწაულიბზე. ამ ხნიდან ასე-  
თი სალამოები ეწყობა ზამთარ-ზაფხულს გამუდმებით—  
სისტემატიურათ. გილაანთ ჩარდახი მოაწყვეს შეძლების—



დაგვარათ: სცენა მოაწყვეს; დეკორაცები შეიძინეს, რეპ-  
ვიზიტი გააჩინეს, საკუთარი უქაშები დამართეს და სხვა.  
ამ ხანებში დაიღვა შემდეგი პიესები: „პეპო“, „კიმ-  
ბირელი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ჯერ დაიხოც-  
ნენ, მერე იქორწინეს“, „ხანუმა“ და სხვა. ზემოთ ჩა-  
მოთვლილ პირების გარდა იყვნენ ქიდევ ახალი ძალე-  
ბიც, სახელდობრ: ალექს., ვანო და ვასო მჭედლიშვილე-  
ბი, გულისაშვილი საზონა, არჩილი და ირაკლი ავა-  
ლიშვილები, ვანო კვალიაშვილი, კოლა გულისაშვი-  
ლი და სხვანი. წარმოლგენები მშვენიერად ტარდებოდა,  
განსაკუთრებით თავი ისახელა ვარო აღნიაშვილისამ.  
ასე გაგრძელდა გილაანთ ჩარდახში მუშაობა 1902 წლი-  
დან 1909 წლიმდე. ამ ხანებში წარმოლგენების გარდა,  
საზოგადოებამ დაიწყო სალიტერატურო სალამოების  
მართვა, ასე, მაგალითად. 1907 წელს, გამართული იქნა  
ილია ჭავჭავაძის მოსაგონებელი სალამო. მისი ერთაგუ-  
ლად მოკვლის ვამო; ამ სალამოზე, დადგმული იქნა „დე-  
და და შეილი“; ხოლო შემდეგვაიმართა დივერტისმენტი.

1909 წლიდან დასი გადაღის შექარა პეპანოვის სახლში,  
სადაც უფრო უკეთესი ბინა და დარბაზი იყო. გილაანთ  
ჩარდახში ყოფნის ღროსვე (1902 წ.) ჩაისახა თეატრის  
ასაშენებლად ცონდის შექმნის იდეა, რა მიზნითაც ძა-  
ლიან ხშირად იდგმებოდ ა წარმოლგენები; ბოლოს და  
ბოლოს როდემდინ-ლა შეიძლებოდა კერძო ბინების და-  
ქირავება და ჩარდახებში სიარული?

1909 წლიდან, როგორც ვსთქვით, თეატრი გადა-  
დის პეპანოვის სახლში და აქ პირველად იქმნება საზამთ-  
რო და საზაფხულო სეზონები. და რეგულიარულად სდგა-  
მდენ პირსებს. 1910 წელს აურჩევა პირველი გამგეობა  
ეგრედ წოდებული „საგარეჯოს დრამატიულ საზოგა-  
დოებას“. მოუხდენიათ წევრთა ორიცემა, შეუქმნიათ  
მტკიცე ორგანიზაცია და აღრიცხვის შემდეგ შემოუღიათ  
საწევრო გადასახადები წევრთა შორის. ვინაიდან თეატ-  
რი არსაიდან სუბსიდიას არ ლებულობდა, ასეთი გადა-

სახადების შემოღება აუცილებელი ყოფილა. ამ ხანებში გამოსჩენია საგარეჯოს თეატრს ახალი თავგანწირული მუშაკი, რომელსაც ბევრი და დაუფასებელი ამავი ვაუზევია საგარეჯოს თეატრისათვის, ეს ყოფილა საშა ქურდიანი, რომელსაც, როგორც „ტერიტორიანი სამსახურის ცეცხლი სწვავდა“, თურმე, მაგრამ ისედაც ავადმყოფს მეტი ველარ შეუძლია და მალე გამოსცლია ხელიდან საგარეჯოს საზოგადოებას.



სამსონ მჭედლიშვილი.

შემდეგში პიესების მუდმივი ხელმძღვანელი ყოფილა იერემია გულისაშვილი, რომლის რეჟისორობის დროსაც დაუდგაათ: „თამარ-ბატონიშვილი“, „სამშობლო“ „პეპო“, „მზის დაბნელება“, „არსენა“, „დრონი მეფობენ“, „ცხოვრება ბრძოლაა“, „ტარტიუფი“ და სხვა. ამის შემდეგ იერემია გულისაშვილს, როგორც ეტყობა, მობეჭრებია რეჟისორობა, და შისი მოვალეობა უკისრია ფრიად სიმპატიურ პიროვნებას და საზოგადოებისთვის საყვარელ მოღვაწეს ნიკო ლევაგას, რომელსაც დაუდგამ, შემდეგი პიესები: „არსენა“ (არსენას როლი შეუსრულე-

ბია თვით ნიკო ლეუავას), „და-ძმა“, „პატარა კახი“, (პატარა კახის როლი უთამაშნია თბილისიდან ჩამოსულ სკენის მოყვარეს—ალექსი მეტრეველს), „ჩვენი დროის გმირები“ და სხვა. 1910 წლიდან მუდმივი თანამშრომლები ყოფილან: კოლა ქურდოვანიძე, ნიკო ქურხული, ორჩილ ქურხული, ერემია გულისაშვილი, ნიკო ლეუავა, დარუსია მაისურაძის ქალი, საშა ქურდიანი (დიდი მოამაგე). სონა ბერიძე, კოლა ქვლივიძე, ვალიშვილის ქალები, იაშა ანუაშვილი (ეს უკანასკნელი ყველაზე მეტს მუშაობდა და მუშაობს დღესაც) და სხვანი. სუფლიორებად ჰყოლიათ: იაკობ ფანოზიშვილი, მიხეილ გულისაშვილი და ალექსანდრე აოუთინოვი. გარედან დიდ დახმარებას უწევდენ: პატივცემული ნიკო ბაზიეროვი, ექიმი ფალიაშვილი, ვასო მჭედლიშვილი და სხვა განათლებული ოჯახები, რომელნიც აწევდიდენ საჭირო რეკვიზიტს. ხელსაწყყოებს და სხვას. როდესაც საზამთრო სეზონი დაუწყიათ დასს ვალი ჰქონია პირველ წელს 500 მანეთი, მაგრამ ერთი სეზონის დამთავრების შემდეგ ვალიც გაუსტუმრებიათ და მოგებაც უნახავთ, რაც გადაუდეიათ ოქატრის ასაშენებელ ფონდისთვის.

ფონდის მოგონებასთან დაკავშირებით უწდა მოვიგონოთ ფრიად საყურადღებო მოვლენა: ჩვენ, როგორც ვიცით, თეატრის ასაშენებელ ფონდის შეგროვება დაიწყეს 1902 წლიდან. ამ ხანებში საგარეჯოში დაიწყო სახალხო მოძრაობაც, რომელსაც სათავეში ედგენ სხვა და სხვა სოციალისტური პარტიიბის ხელმძღვანელნი, როგორც ვიცით, უკვე 1901 წლიდან საგარეჯოში სოციალდემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობდა: ამს. ვანო ალიხანიშვილი. („ვანო გურული“-ს სახელწოდებით) ი. პარმენ გელაშვილი. ფედერალისტებისას—ბურჯანაძე, რეზო ჯაბადარი და კვალიაშვილი ვახო. ვინაიდან ყველა სოციალისტის ზნეობრივი მოვალეობა იყო, ყოველგვარ კორტურულ მოძრაობისათვის ფართე გამოძახილით ეპასუხნა, ამიტომ ზემოხსენებულ პირთ დიდი ენერგია, შრო-

მა და ჯაფა გაუწევიათ თეატრის ფონდის გაძლიერებისა-  
თვის აგიტაციით. გლეხქაცობაში კეთილი ხმების გავრ-  
ცელებით, სათანადო დირექტივებით და სხვა, რამაც უსა-  
თუოდ საფუძვლიანი გავლენა მოახდინა გლეხქაცობაზე,  
რომელიც ყველაზე მეტათ სოციალისტებს ენდობოდა.  
ხშირად ხდებოდა სოციალისტების და თეატრის ხელ-  
მძღვანელთა საიდუმლო კრებები ლონისძიებების გამო-  
სამუშავებლად, ასე მაგალითად, 1902 წელს ერთ-ერთ  
ასეთ კრებას დასწრებია ამხ. ვანო ალიხაძიშვილი.

ასეთი ერთსულოვნობის ბრალია, რომ, როდესაც  
დაქირავებულ პეპანოვის სახლში დასი გადავიდა სამოქ-  
მედოთ, ერთი წლის შემდეგ (1910 წელს) დღევანდელს  
თეატრის შენობას უკვე საძირკველი ჰქონდა ჩაყრილი.  
რითო აშენდა საგარეჯოს თეატრი? უმთავრესად კერძო  
შემოწირულებებით. თეატრმა საქმაოდ შეაყვარა ხალხს  
ხელოვნება და არ ყოფილა მაშინ ნივთიერად, ცოტაო-  
დენად მაინც. ფეხშე მდგომი ოჯახი, რომ მას თავისი  
წვლილი არ შეეტანოს თეატრის ასაშენებლად: ბევრი  
აგურს სწირავდა. ბევრი კრამიტს: გლეხქაცობა ურემს  
ახმარებდა. ზიდავდა ქვასა და ქვიშას. ხე-ტყეს და სხვას,,  
აგრეთვე რაც მთავარია, სცენის მოყვარეთა მცენ წვითა  
და დაგვით. თავგანწირული შრომით შეგროვილი თანხე-  
ბით! თეატრის აშენების ხანაში მთავარი თაოსანი და  
ხელმძღვანელი იყო პატიკუ. ნიკო ბაზერიშვილი და სოლო-  
მონ გულისაშვილი. უკანა, უკანა თითქმის 190 მანეთი  
შესწირა. 1910—1912 წლამდე საგარეჯოს თეატრის შე-  
ნობა უკვე დასრულებული იყო, ხოლო აკლდა შიგნით  
გამართვა-ლა, სათეატროდ. საამისო თანხები, როგორც  
სჩანს, აღარ გააჩნდათ და აღბათ, ეს იყო მიზეზი. რომ  
1912 წლიდან თეატრის დაუსრულებელი შენობა გადას-  
ცეს ქირით საავალმყოფოსათვის კახეთის რკინის გზას,  
რომელიც იმ ხანებში გაპყავდათ. შემოსული ქირით, შე-  
მოწირულებებით და კვლავ სცენის მოყვარეთა უანგარო  
შრომამ თავისი ჰქონა და უკვე 1914 წელს მოხერხდა თეა-

ტრის შენობის ყოველმხრივ დასრულება. დასრულდა თეატრი და ამით საგარეჯოს და საერთოდ, საქართველოს კულტურის ისტორიაში ახალი სტრიქონი ჩაიწერა.

1914 წლიდან იწყება საგარეჯოს თეატრის მეორე ხანა.

თეატრი გაშენებულია მყუდრო ადგილას, ბაზრიდან ცოტა მოშორებით, სოფლის შუაღულს. თოქოს აქ აღვილი განვებ დაუტოვებიათ თეატრისათვის წინასწარ, ახლო-მახლო მცხოვრებინი არ მოიპოვებიან, გარშემო შემორტყმულია პატარ-პატარა ვენახები და საბოსტნე ადგილები. ქართული ძეძვით შეკრული-შელობილი, ხოლო მათ შუა ადგილას მოსჩანს დაცემული ვაკე მოედანი, რომელსაც ორგვლივ ზღაპრული დევის მხედრებისავით შემორტყმია ოზარმაზარი კაკლის ხეები. მუედანის თავზე და გვერდზე ჩარბის მაღლიანი სათავის ანკარა წყლის რუები. მის ნაპირებზე სიამბარტავნით გაშლილი მწვანე, ხასხასა—ბუნების ხალიჩა—მეტადრე ნაწვიმარზე... ადგილი რაღაც ჯაღოსნურ მყუდროებით არის შეპყრობილი და ამ მყუდროებაში—მეტადრე მთვარიან წყნარ ლამეს, გამოსჭვივის მისტიური საიდუმლოებანი. (აკი სახელიც ისეთი ჰქვიან: „ხატის კაკლები“). თეატრს ამ ადგილას ჩაეყარა საძირკველი და აქვე გაისმა დამათორობელი ღილინი ხელოვნების. კულტურის განითარება-აყვავებისა...

შენობა გაშენებულია მოედნის თავშივე. შენობა ქვითა და ავურით არის ნაშენი. სიღიდის მხრივ სოფლისათვის საჭაოთ უნდა ჩაითვალოს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ თეატრს ამ ამჟამს სილამაზე. არც გარეგანი და არც შინაგანი, როგორც ერთგან. ისე მეორედან მას სჭირია შელესვა და გალამაზება: შინაგანი მოწყობილობა საერთოდ პრიმიტიულია და დღევანდელ თეატრისათვის შეუფერებელი, მაგრამ ასეა თუ ისე, თვითმშეყრობელობის დროს, ესეც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს: „ყვავს კაკლი გააგდებინე“-ო. მაგონდება ქართული გამჭრიახი ანდაზა. ეხლა კი საბჭოთა ხელისუფლების დიდი იმედი



### თ ე ა ტ ლ ი ს გ ა მ გ ე თ ბ ა

ზემოთ მარცხნილან-მარჯვნივ: ალექსანდრე ბედიაშვილი, სიმონ მთვარაძე. ქვემოთ: ალექსანდრე არუთინოვი, განო დრეიძე, საშა მეზვრიშვილი და ლენტო გულისაშვილი.



გვაქვს და, ალბათ, იმ აღმშენებლობით, თავვანწარული, მუშაობის წყალობით, რომელსაც დღეს იგი ეწევა, გვა-ლისებს თეატრის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, მთა-ვარი კი ის არის, რომ აქ უნდა პქტიურად ჩაერიოს ახალი თაობა... ჩვენ ვიმედოვნებთ!..

საგარეჯოს თეატრში 1914 წლიდან დაიწყო თავისი ახალი ხანა,—ფიცრების ზურგით ზიდვა, სკამებისათვის ლიჯინი, საჭირო ნივთების უქონლობა უკვე საკმარისათ მოისპო და ამით სცენის მოყვარეთ საშუალება მიეცა შე-ლავათსანი მოქმედებისა, აქევე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა: როდესაც დასი ახალ თეატრში გადავიდა სამოქმედოთ და იგრძნო, რომ უკვე სერიოზული მუშაობა უნდა დაეწყო და შეატყო, რომ მას საამისოთ, რევენიტი და სხვა საჭირო ნივთები არ ჰქონდა, მოუწოდ ა საგარეჯოს საზოგადოებას და ამ მო-წოდებამ ისეთი ფართო გამოძახილი ვპოვა. რომ აუარე-ბელი შესაწირები ვაიღეს, ზოგი—სამოვარს სწირავდა, ზოგი—სკამებს, ჩაიღანს, ტანსაცმელს, ფარდავებს, მაგი-დებს და სხვას. ასეთი მოვლენა დამამტკიცებელია იმისი, თუ რა დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა ხალხში საგარეჯოს თეატრში.

1914 წლიდან საგარეჯოს თეატრს შერჩენ ისევ ძველი მუშაკნი და ზოგი ახალი ძალაც მიემატა. ასე მაგ.., კირა გარსიაშვილი, მ. სულთანიშვილი და სხვანი. წარმოდგე-ნები იღგმოდა ყოველ კვირა-უქმით, ჯერ საშა ქურდია-ნის, ხოლო შემდეგ ნიკო ლევაგას რეესიორობით. უნდა ვთქვათ, რომ, რაკი თეატრი გააშენეს ხატი კაკლების მო-დანზე, ხალხი აქ მარტო წარმოდგენებისთვის კი არ ეტა-ნებოდა, არამედ დღესაც და მაშინაც ზემოხსენებული ადგილი გადაიქცა მკვიდროა დროს გასატარებლათ, აქ წე-სათ შემოიღეს სალამობით სეირნობა და სოფლური ლხინების გამართვა. რა სასიამოვნოა მერე ღამით.—რო-ცა ცის ბუმბერაზი მნათობი ამოვარდება ხოლმე კახეთის კურთხეულ ველიდან და დიდრონ კაკლების ჩაბჟუტულს

„აანდებში გაისმის ველური დაირის ბოხი ხმა „გარმონის“ წიქწიქი და მხიარული ყივილ-ხივილი! ოეატრის აშენებას ყველა დაუღალავი სიხარულით მოელოდა, მაგრამ ამ ხანებში წარმოდგეხების მართვას ვერ ჰქონდა ისეთი მასიური ხასიათი, როგორიც უნდა ჰქონიყო, ამის მიზეზათ სხვა არაფრის დასახელება არ შეგვიძლიან გარდა მსოფლიო ომისა. ამ ომშა, როგორც ვიცით, დიდი გავლენა მოახდინა, ძირ-ფესვიანად შეარყია საზოგადოების პოლიტიკურ-მორალური. სულიერი და ნივთიერი საძირკველი და საერთოდ ძნელია ამისთანა შფოთიან წლებში და არანორ-მალობაში წესიერი მუშაობა და ისიც სახელოვნო დარგში! რა დროს წარმოდგენა იყო, როდესაც მილიონი ხალ-ხის სისხლი ზღაპრული ნაკადულით სჩექტდა, როდესაც ობრად დარჩენილი—დედები, ცოლები და შვილები სიმ-წრით ხორცებს იგლეჯდენ და საერთოდ კი სუფევდა იდუმალი სევდა და ტანჯვა. ერთი კი აღსანიშნავია: 1914 წლის გვინ შემოდგომით გაიმართა საღამო ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნის აღსანიშნავად, სადაც წაკითხული იქმნა მწერლის პიოგრაფია და დაიდგა მისივე პიესა „არ-სენა“: აგრეთვე გარჩეული იქმნა მისი ნაწარმოებები. „არსენას“ დაცვმაში ითამაშეს: ს. ბერიძისამ, ლალო ბერიძემ, იაშა ანუაშვილმა, იერემია გულისაშვილმა, ნიკო ლეუავამ და სხვ. იმავე წელს განმეორებით დაიდგა საგარეჯოს ხალ სცენაზე „სოფლის გმირები“ ზემო დასახელებულ პრითა მონაწილეობით. დაუდგამთ აგრეთვე „პატარა-ჯახი“.

1915 წ. ხატი კაჭლების მოედანზე დაარსებული იქმნა საზაფხულო ტანსავარჯიშო საზოგადოება ეგონებ „Сокол“-ის სახელწოდებით და გოგლა გულისაშვილის ხელმძღვანელობით. მოედანზე დადგმული იქმნა ოერძი, აკლის ტოტებზე ჩამოკიდული იყო ლატანი, შეძენილი ჰქონდათ აგრეთვე სახტომი შოგირები და სხვა. ხალხი შეტის-მეტად დაინტერესებული და თანაც გაკიირკებული უცქეროდა ტანსავარჯიშო საზოგადოების მოქმედე-

ზას. მეტადრე აკცირვებდათ გოგლა გულისაშვილის (საუკეთესო მოვარჯიშე იყო) აღმატრიალი და ჰაერში კოტრიალი; საგარეჯოს გლეხეაცობაშ თუძცა დიდიხიანია გარღვიძა, მაგრამ ეხლა უფრო მეტად აღეძრა სწავლა-განათლების მაღა. გლეხის ბუნება ჯოჯოხეთის ცეცხლით აღინოთ და, ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოთ, თეატრის გავლენით, ბევრმა გაგზავნა შვილები თბილისში სასწავლებლად და ეს არის კიდეც მიზეზი, რომ დღეს როგორც იტყვიან „საგარეჯოში საითაც ხელს გაიქნევ, სტუდენტს წამოკრავო“! ამავე წელს თეატრი კვლავ მოქმედობს შეუჩერებელი ხალისით. ისევ ძველმა სკუნი, მოყვარებმა დასდგეს „მსხეურპლი“ — გედეგანიშვილის, „სამშობლო“, „და-ძმა“, „პატარა კაზი“ და სხვა. მაგრამ 1915 წელს მარტო ამით არ ჩაუგლია. ჩაკი თეატრი როგორც ასეთი სოფელს გააჩნდა, თბილისმა დაიწყო „სტუმრობანა“. ხსნებულ წელს თბილისიდან იწივნინ ჩართული დრამის მსახიობნი — უივიძე და გვარაძე, რომელთაც დასდგეს შალვა დადიანის „შენი ჭირიმე“. რომელსაც დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო და აღტაცებაში. მოიყვანა თბილისის დრამის მსახიობთა მოხდენილმა თამაშმა, მიუხედავათ იმისა, რომ ტეხნიკურათ სკუნა ლარიბი იყო.

1916 წლიდან საგარეჯოს ეგონება ახალგაზრითა ძალები, რომელთა უმეტესობა თბილისში სწავლობენ და მხოლოდ ზაფხულობით თუ ლა ახერხებენ შერმოლების მართვას, ესენი არიან: გიგლა, გიორგი, ნიკო, ინგელინა გარსიაშვილები, მარო ბაბილაშვილი, გ. მეზვრიშვილი, გ. პანკელაშვილი, კოტე ყანდარელი, ილიკო ქურდოვანიძე, შ. თათუზოვი (აწ გარდაცვალებული), კ. საგინაშვილი, ვანო მამისაშვილი, ნუნუ მჭედლიშვილი, მიშა ქარსულიძე. მარო მეზვრიშვილი, თამარა ქურდოვანიძე და სხვანი. ამათში ზოგი სკუნაზე მსახიობობს, ზოგი მომღერალთა გუნდებს ადგენს და ტკბილი ქართული სიმღერებით ხიბლავს საზოგადოებას, რაც მეტის-მეტად უყვარ-



ზემოდან მარცხნივ — გ. გარსიაშვილი; მარჯვნივ — ილო  
გოდერძიშვილი; შუაში იაშა ანუაშვილი; ქვემოდ მარც-  
ხნიდან-მარჯვნივ: გალიკო გოგოლაძე, კოლა ქვლიფიძე  
და ალექსანდრე ბურთიკაშვილი.

და ხალხს, უგრეთვე მათ ერთს ზაფხულს დასდგეს (რაც მე პირადათ მახსოვს კარგად) „სამშობლო“, „ლალატი“, „და-ძმა“ და სხვა გიგლა გარსიაშვილის ოეჭისორობით. მთავარ ოოლს ეს უკანასკნელი ასრულებდა და მეტის-მეტი ნიჭიერიც იყო! უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა-თა და დგმებითიქმის აჭარბებდა ძველებს, ახალგაზრდა-თა დასი მოქმედობდა 1916 წლიდან 1920 წლამდე. ძვე-ლი დასი იმ ხანებში ისევ მოქმედობს, მათ ახალგაზრდე-ბთან ხან ერთად უხდებათ მუშაობა, ხან ცალ-ცალკე, მა-გრამ ერთმანეთს კი არაფერს უშლიან.

1917 წელს საგარეჯოს თეატრს ეწვია ქართული თეა-ტრის სიამაყე ვასო აბაშიძე, რომელმაც დასდგა იმ დროი-სთვის ახალი პიესა „სიძე - სიმამრი“. პატივცემულ ვასო აბაშიძემ საგარეჯოს საზოგადოებას საშუალება მისცა ნამდვილი ხელოვანის მოქმედებით და როლების განსა-ხიერებით დამტკარიყო!.. მოზრდილების დასი ისევ მო-ქმედობს დაუშრეტელი ენერგიით, მაგრამ მათი მუშაო-ბა მაინც სუსტია მსოფლიო ომის მიერ შექმნილი საერთო მდგომარეობით 1918 წლიდან დაიწყო საბავშვო დილების მართვა პატივცემულ დარუსია მაისურაძის ქალმა. იმ ხა-ნებში იგი დიდი ხალისით ეკიდებოდა საქმეს და დიდი ღვაწლიც მიუძლვის. ხსენებულ წელს, ჩენც ხნით უფრო პატარა მოწაფეებმა, დავიწყეთ საბავშვო დილების მარ-თვა: ხან სკოლის ეზოში. ხან თეატრის დარბაზში. გეხელმძღვანელობდა დარუსია მაისურაძის ქალი.

აგრეთვე ჩამოგაყალიბეთ კულტურული წრეები. რაც, რასაკვირველია, თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებდა. მოძრაობა გაჩაღდა გამოჩნდენ მოზ-რდილი ახალგაზრდები, ზოგი ხელოსნები, ზოგი ნახევ-რათ ინტელიგენტები და დაიწყეს თავიანთვის მოქმედე-ბა. ესენი იყვნენ: გიგა მჭედლიშვილი, ილო ქურთიშვი-ლი, ვასო ჯაფარიძე, შალიკო თათუშოვი და სხვანი. ასე გაგრძელდა მუშაობა 1920 წლის დასასრულამდე. განვი-თარებამ და აღორძინებამ თავის ბუნებრივ წერტილს

მიაღწია, მაგრამ მაინც რაღაც აკლდა საზოგადოებას და ეს, ოაღაც იყო ერთ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში, ყველას თავის მოყრა, დახლართული ძაფების შეერთება-გადანასკვა და საერთო შრომით. გააფილებული და ღო-ნიერი მუშაობის წარმოება. ასეთი მდგომარეობა სუ-ფევდა 1921 წლამდე.



სკოლის შენობა, სადაც წინად წარმოდგენები  
იმართებოდა.

1921 წელი უნდა ჩაითვალოს საგარეჯოს თეატრის მესამე ხანად. გასაბჭოების შემდეგ ბუნებრივათ დაისცა ლოზუნგი: „შრომა უსასყიდლოთ, — ეს გაყველეთა!“ და ამიტომაც მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო თეატრის უაღრესად განვითარების და განმტკიცების ჟამს; რასაკვირველია, პირველად ყოვლისა ამისათვის სათანადო პი-რობებია საჭირო და ეს საჭირო პირობები სწორედ გასა-ბჭოების შემდეგ შეიქნა. იმ უამად საგარეჯოს თეატრს გა-უნდა ახალი ეხერგიული მოღვაწე ალექსანდრე ბურთია-შვილის სახით. დღემდე თუ წარმოდგენები მხოლოდ სა-

ქველმოქმედო მიზნებით იდგმებოდა და ამიტომ მსახიობი უსასყიდლოთ მუშაობდა, ალექს. ბურთიკაშვილმა ჩამოა-ყალიბა დასი, ყველას თავის ადგილი მიუჩინა და მსახიო-ბობა გადააქცია პროფესიათ, რომელიც თავის ნაშრომში იღებს ჯამაგირს. პირველი წარმოდგენა, რომელიც ახალ-მა დასმა, სხვა პირობებში ჩაყენებულმა, დასდგა, იყო „მსხვერპლი“, — 1921 წლის 1 მაისს. ალექსანდრე ბურ-თიკაშვილის რეჟისორობით „დრამატიულ-კოლექტივში“ (როგორც თავის თავს უწოდა ახალმა დასმა) მუდმივ თა-ნამშრომლებად შედიოდნენ: ალექს. ბურთიკაშვილი (რეჟ.), იაშა ანუაშვილი (დამსახურებული მსახიობი და დიდი მოამაგე საგარეჯოს თეატრის, კოლა . ქვლივიძე (შეუდარებელი მსახიობი გლეხურ როლებში), კოლა ქუ-რდოვანიძე (სახოგადოების საყვარელი მსახიობი), იერე-მია გულისაშვილი (ძველი მოღვაწე), ვანო არონიშვიძე, ვანო მჭედლიშვილი (აწ. გარდაცვ.), მიშა ქარსაულიძე, გ. გარსიაშვილი (სუფლიორი), მიტო ჯაბადარი (აწ. გა-ოდაცვალებული), დარუსია მაისურაძის ქალი, ელენე ივა-ლიშვილი. ელენე მჭედლიშვილი. კირა გარსიაშვილი, მარო მეზვრიშვილ, ლიზა ვაშაკიძე (მხცოვანი დამსახუ-რიბული მსახიობი), ქლო გოდერძიშვილი, ქეჩვრი-შვილი საშა, გოორგი მეზვრიშვილი, კოლა დარბაისელი, ირაკლი ქურხული, ირინე ჯაფარიძე, ვანო დრეიძე, ამ წერილის ავტორი და სხვანი. დრამატიულმა კოლექტივ-მა თავისი მუშაობა ბრწყინვალედ დაიწყო, ორგანიზა-ცია ჩამოყალიბდა, რეპერტუარი შეიცვალა, ძველი და-ხავსებული პიესები აღარ იღებორია, დიდი უპირატე-სობა მიეცა რევოლუციონურ პიესებს და მხატვრულ შე-მოქმედების ნაწარმოებთ. ყვილამ დიდი ხალისძით მოჰ-კიდა ხელი და ეს იყო კიდეც მიზეზი, რომ წარმოდგენებს ბოლოს და ბოლოს ძლივს ეღირსა სისტემატიურად მარ-თვა, ასე მაგ.: ხუთშაბათობით და კვირაობით იდგმებო-და ფასიანი წარმოდგენები, ხოლო შაბათობით იმავე კო-ლექტივის მიერ იმართებოდა უფასო წარმოდგენები ლა-

რიბი გლეხობისათვის. ამ ხანებში შეძენილი იქმნა ახალი აუკვიზიტი, ფარდა გამოიცვალა, დეკორაციები შელამაზედა, იაშა ანუაშვილის თავდადებული შრომის წყალობით, ყველაფერს წესირი და კანონიერი გზა მიეცა, რამც დიდი ტემპით წასწია წინ თეატრალური მოძრაობა; თეატრმა გაიჩინა რეკვიზიტორი დათიკო მჭედლიშვილი, მოლარე ნინა გრიფერიშვილი, სუფლიორი გ. გარსიაშვილი, სუენარიუსები აღმინისტრატორები. პარიკმახერი და სხვა. არჩეული იქმნა აგრეთვე გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ილა გოდერძიშვილი, კოლა ქვლივიძე, კოლა ქურდოვანიძე. დათიკო გვილავა და გ. გარსიაშვილი, რომელთაც დაევალათ აღმინისტრაციის ფუნქციები და თეატრის მართვა, ტეხნიკურათ და მატერიალურად უზრუნველყოთ. ასე დაიწყო თავისი მოქმედება ახალშა დრამატიულმა კოლექტივმა საგარეჯოში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მსახიობის მოვალეობის ხელობად გადაქცევამ და სათანადო შრომის ხელფასის მიცემამ დიდათ გააუმჯობესა საქმე, 1922 წელს საგარეჯოს თეატრს, ახლად მოლონიერებულს და წელში გაშლილს, თავს დაატყდა დიდი უბედულება,—ვილაც ბოროტმომქმედებმა იგი გაქურდეს და ამით კინაღამ დიდი ხნით დააკოჭლეს, წაიღეს ხუთიოდე ქულაჯა, ხელად შეძენილი ტილოს დეკორაციები, გაიტანეს რაც რეკვიზიტი ჰქონდა და სხვა. იმ ემად ბურთიკაშვილის დრამატული კოლექტივი ისეც მოქმედებდა, ხოლო მის გარეშე დაარსდა ახალგაზრდათა ლიტერატურული წრე, რომლის წესდების მთავარს მუხლს შეადგენდა წარმოდგენების დადგმა საკუთარი ძალებით სხვა და სხვა საქველმოქმედო მიზნებისათვის; ახალგაზრდათა ლიტერატურული წრის აქტიურ წევრებათ ითვლებოდნენ: ამ სტრიქონების დამწერი (გამგეობის თავმჯდომარე), ლევან მამისაშვილი (თავმჯდომარეს ამხანაგი), საშა ბერიაშვილი (გამგეობის მდივანი), საშა მეზრიშვილი (გამგეობის წევრი), ოლღა მჭედლშვილი (გამგ. წევრი), საშა ქარსაულიძე, მარო ქარსაულიძე, გ.

პანკელაშვილი, კოტე ცომაია, ირ. ქურხული, დათიკო ქურხული, კოლა დარბაისელი და სხვანი. ჩა გააკეთა ახალგაზრდათა ლიტერატურულმა წრემ სათეატრო დარღუი — ამის თქმა ძნელია ჩვენთვის, როგორც ზემოხსენებული წრის უშუალო ხელმძღვანელისათვის, სიტყვის თქმა სხვასთვის მიგვინდვია!..

1922 წელმა, მართალია საგარეჯოს თეატრს საგრძნობო ლახვარი ჩასცა, მაგრამ ამით მაინც საბოლოოოდ არ წამხდარა საქმე; ყოველ შემთხვევაში უფასო წარმოდგენებმა, შეღავათიახმა ფასებმა — ძასა და ისიც გლეხური მასები, მეტის მეტად დააინტერესა და ხალისიან ელფერს სდებდა თეატრისაკენ მლტოლვარე, ჩაგვრისაგან განთავისუფლებული კოურიანი ხელები და მზისგან დამწვარი სახეები; რევოლუციის შემდეგ საერთო მშეიღობიანობაში (გასაბჭოების შემდეგ) ასეც უნდა მომხდარიყო და აკი მოხდა კიდეც!

1923 წელს უფრო გაცხოველდა მუშაობა: აქ ერთსა და იმავე დროს დაარსებული იქმნა „დრამატიული კოლექტივი“ ბურთიკაშვილის რევისორობით, ომელიც ზამთარ-ზათხულს განუწყვეტილი მოქმედებდა, „ახალგაზრდათა დრამატიული დასი“, — წინ მოხსენებული ლიტერატურული წრის წევრთა შემადგენლობით და „კომკავშირის დასი“. ვინაიდან სამი დასის მოქმედება ერთსა და იმავე დროს ერთშანობოს საგრძნობლად უშლიდა ხელს, რამდენიმე ხნის შემდეგ ორი უკანასკნელი დასი შეერთდა და დაიწყო ერთად მოქმედება, ხან თეატრში და ხან ძაშინდელ, ახლად განსილს კლუბში. აქვე უნდა აღნიშნოთ კომკავშირის დასის მოქმედება: იგი უმთავრესად სდგამს სააგიტაციო - საპროპაგანდო, რევოლუციონურ პროლეტარულს პრესებს. უფასოთ, ხალხისათვის, იშვიათი შემოხვევაა. რომ მან ფასიანი წარმოდგენა დასდგას, გარდა ამისა ისინი გადადიან სისტემატიურად, ზამთარს-ზაფხულს. მეზობელ სოფლებში, სადაც თეატრი არ არსებობს და სდგამენ რევოლუციონურ შინაარსის პირ-

სებს. რაც დიდს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ცხოვრებაში....

1923 წელს ადგილობრივმა საზოგადოებამ, როგორც სხვაგან აქაც გადაუხადა დიდი ზეიმით,—საქართველოს საამიკი ხელოვანს და დრამატურგს შალვა დადიანს 30 წლის იუბილე!

1924 წელი საგარეჯოს თეატრის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს ყველაზე ხალისიან და ბრწყინვალე წლათ. ამ წელს რამდენიმე სხვა და სხვა ხასიათის დრამატიული დასხვი იქმნა დაარსებული,—ასე მაგალითად: ძველი „დრამატიული კოლექტივი“ ისევ მოქმედობს. „მაგრამ ცოტა შესუსტებული და თავის ასპარეზს ნელ-ნელა სხვას უთმობს: ქაოთულმა ლეგიონმა. რომელც იმ წელს საავარაკოდ იყო მოსული და სათავეში ბინადრობდა, შექმნა (კალკე დასი).—ამასთან ერთად ისევ განაახლა კომკავშირის დასთან შეერთებულმა „ახალგაზრდათა დასმა“ მუშაობა—და დაარსებულ იქმნა ივ. კობახიძის მიერ „საოპერატო დასი“. რომელიც თავის დანიშნულებას რიგინად ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ძალებით. ამ უკანასკნელი დადგეს „არშინ მალ-ალან“. „ვანო ჭამებული“ და სხვა. რაც სოფლის პირობებში დამაკმაყოფილებლადაც იქმნა ჩატარებული.

1924 წელს თითქმის კვირაში არც ერთი დღე არ იყო თავისუფალი და ერთგვარ აღტყინებას და სიხარულს გრძნობდა იქაური მაცხოვრებელი, როდესაც უყურებდა ხელოვნების ასეთ მრავალფერს და ხალისიან ჩქეფას.

1925 წელს ბურთიკაშვილის დრამატიული კოლექტივი დაიშალა და ვანო კობახიძის ჩეუისორობით იწყება მუშაობა. მან მრავალი ახალი მხატვრული პიესები და კომედიები აჩვენა სცენიდან ხალხს. ვანო კობახიძე თუმცა დიდი ენერგიის პატრონია. მაგრამ ერთხელ დაშლილი ორვანიზაცია ველარ შემჭიდროვდა და მუშაობა მიმდინარეობდა უორგანიზაციონ მოქმედებით. ერთი კი აღსანიშნავია: ამ წელს მაღლიერმა საზოგადოებამ გადაუხა-



და ძველ სცენის მუშაქს—ნიკ. ქურდოვანიძეს 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ—იუბილე, აგრეთვე რამოდენიმე სცენის მოყვარეთ გაუმართეს ბენეფისები და რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა სხვა და სხვა საქველმოქმედო მიზნებით: ლარიბ სტუდენტთა — სასარგებლოდ, მუშთაკელებისა და სხვა და სხვა ორგანიზაციების ღასახმარებლად. ჩვენ დაგვაციტყდა გვეთქვა, რომ 1923 წელს მადლიერდა საზოგადოებამ გადაუხადა 35 წლის უანგაროშრომის აღსანიშნავად იერებია გულისაშვილს იუბილე, რაც გრანლიოზული სახით იქმნა ჩატარებული.

1926 წელს მოხდა ახალი გამგეობის არჩევა, რომელმაც საქმიანი მუშაობით დაიწყო მოქმედება, შეუდგა თეატრის შეკეობას. ეზოს ლობე მემოაკლო და სხვა. ახალ გამგეობაში შედიან: ლენტო გულისაშვილი (თავმჯდომარე), მეზვრიშვილი საშა, (თავმჯდომარის მოადგილე), დრეიდე ვანო (ახალგაზრდა, დიდი ენერგიული მუშაკი—მდივნათ), დარია მაისურაძე. (გამგეობის ხაზინადარი), ალექსანდრე არუთინოვი და ალექს. ბელიაშვილი (როგორც რაიონის პოლიტგანათლების საბჭოს თავმჯდომარე).

ამჟამად გამგეობას უსახსრობის გამო ვერ მოუწვევია რეეისორი. რაც თავისებურს დაღს ამჩნევს თეატრის მუშაობას, გარდა ამისა ადგილობრივი საზოგადოება მეტის-მეტი გულგრილობით არის გაელენილი, თეატრს სათანადო მზრუნველობას ვერ უწევს და თანამედროვე რეეისორს ალექსანდრე ხმალაძეს ხშირად სჭირდება წვეწნა-ლიჯინი.

საზოგადოების გულცივობა უნდა მიეწეროს. ჩვენი თეატრის ტეხნიკურათ და იდეურათ ჩამორჩენილობას ახალ დროსთან შედარებით, ჩვენი თეატრი თავის 50 წლიან არსებობის ხანაში იყო ხალხური სულის მატარებელი, იგი იყო კულტურის აკანი ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის და გარეშე სოფელთათვის, მაგრამ დღეს მას ეს ხალხი აღარ ეტანება, აღარ მისდევს, თეატრი ვეღარ იზიდავს ფართე მასებს, ამ უკანასკნელს უფრო

იზიდავს თბილისიდან ჩამოსული „ლურჯი—ხალათიანების“—დადგმები, მას აინტერესებს ახალი სული, ახალი განცდები, ახალი თამაში და ახალი მოღვაწეობა და ამიტომაც არის, რომ ესე ხარბად ეტანებიან „ლურჯ—ხალათიანებს“.

ხალს მობეზრდა • სცენაზე სანტიმეტალიზმი და რომანტიზმი, მობეზრდა ერთი და იგივე დეკორაციები. ერთი და იგივე ფერები და უხალისო მექდარი მოქმედება, მას ამის შემდეგ აინტერესებს სოციალური ტკივილების და ბრწყინვალე სახეების დანახვა. ჩვენი თეატრი ნახევარი საუკუნის მანძილზე უნდა ეძებდეს ახალ გზას, ახალ კვალს და ამ ძიებაში უნდა ალამებდეს, რომ ჩვეულებრივი სიხალისით შეუდგეს მეორე ნახევარ საუკუნის მოვალეობის ტარებას! ჩვენ თეატრს ახალი დროისათვის ბევრი რამ აკლია, საჭიროა მისი სრული გარდაქმნა. როგორც იდეურათ, ისე ტეხნიკურად, იდეურათ იგი უნდა გაპყვეს ახალს. მასზე მითითებულ გზას, ტეხნიკურად უნდა გაღლამაზდეს შიგნით და გარეთ, დარბაზი უნდა გაფართოვდეს, ჭერი უნდა აწეული იქმნას, სცენა უნდა ამაღლდეს, ეზო უნდა გადაკეთდეს ბალათ. სადაც უნდა ჩუხჩუხებდეს შადრევანებით სათავის ანკარა წყაროები, უზარმაზარი კაკლის ხეები, რომელიც დღეს მიწს დაუციათ. მის ადგილას ახალი უნდა ვაშენდეს. დროა ყველა ამაზე იზრუნოს სათანადო ორგანოებმა და, რაც მთავარია, ადგილობრივმა საზოგადოებამ. უსლ მუდამ ვერ ვიქნებრთ „ეპოს“ იმედით, სულ მუდამ ვერ გაგვიწევს პეტრე ქურდოვანიძე ნივთიერ დახმარებას. (დღეს საგარეჯოს თეატრისათვის ყველაზე ხელის შემწყობი პეტრე ქურდოვანიძეა).

ჩვენ ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ იუბილე, რომელიც მოეწყობა 3 ოქტომბერს, შესძლებს თეატრის ყველა ნაკლთა გამოსწორებას. შესძლებს ნახევარ საუკუნის ტრიალში გამობრძმედილი ხელოვნების ტაძარის ქვლავ წელში გამართვას და კვლავ მიიზიდავს მის საყვარელ ფართე მასებს!

ჩვენ ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ საგარეჯოს თეატრი შეითვისებს ახალ საუკუნის პაერის ყნოსეას და მეორე ნახევარში გადააბიჯებს ძლევამოსილი სახით.

50 წელი დიდი მიღწევაა პროვინციის თეატრის, მით უმეტეს ქართული კულტურის ისტორიაში, და ეს უნდა იქმნეს დიდი ზემით გადახდილი, რათა ამით შესაძლებელი ვიხდეს გადიაროს მომავალი საუკუნეები, უფრო მძლავრად, უფრო დიდებულად და ბრწყინვალე შარავანდელით მოსილმა!..

### ს. მოვარაძე.

29 სექტემბერი, 1926 წელი.

## კულტურის თარიღი.

კულტურის ისტორია, ნამდვილი და არა მოხელური ისტორია კულტურისა იწერებოდა ჩვენში - არა სახელ- მძღვანელოთა ფურცლებზე, არამედ უმეტეს ნაწილად ინტიმურ პარათებში, მოგონებებში, რომლებსაც დრო გამოშვებით ამოიღებთ მაგიდის მივარღნილ უჯრიდან, და ადამიანთა მესიერებაში.

მაგრამ სწორედ კულტურის ისტორიაში ზოგჯერ ერთი ომელიმე შემთხვევითი და თითქოს ნაკლები მნი- შვნელობის ნაკვთი ელვასაებრ გაანათებს და გააშუქებს მოელს ეპოქას.

ამას წინად, როდესაც სოფ. საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩაზე მიედიოდი, ნახევრად დანგრეულ ეკლესის მახ- ლობლად. პირდაპირ ფრთალ ადგილზე, შევნიშნე მწვა- ნით დაბურული სასაფლაო. საზოგადოდ მე არ მიყვარს საფლავების თხრა, თუნდა სამეცნიერო მიზნითაც კი. ჩემთვის ყოველი ცოცხალი არსება გაცილებით უფრო ძვირფასია ათეულ ეგვიპტელ მეფეებზე. მაგრამ აქ თით- ქოს ვიღამაც წამერა ხელი. ავითი მაღლობზე და ლოდზე შემდეგი წავიკითხე:

— მასწავლებელი და საკრეტიტო ამხანაგობის და- მაარსებელი ალექსანდრე ცხვეთაძე.

შემდეგ კი აღმოჩნდნენ ამავე სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც ისეთი საინტერესო ამბით შემოსეს ამ მა- სწავლებელ ცხვეთაძის პიროვნება, რომ მას არავითარ გმირულ ლეგენდაზედაც კი არ გავცლი.

ამ მოთხოვნიდან გავიგე, რომ სცხოვრობდა მძლავ- რი ბუნების, დაუშრეტელი ენერგიის, ბეჯითი და მესაი-

დუმლე ადამიანი, რომელიც, თითქოს თილისმის ძალით, რასაც კი მიაქცევდა თავისს გამჭრიას ყურადღებას და ნების ყოფას, ყოველივეს გამოაცოცხლებდა, აამოძრავებდა და შემოქმედების უნარს გაუღვიძებდა.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით თეატრის მოყვარულობის მნიშვნელობას. ვის არ მიუჩნევია თავისი თავი დიდ გამოჩენილ მსახიობად, ვის არ წარმოუთქვამს დონდლო მონოლოგები ყოვლის შემწყნარებელ სააგარაკო საზოგადოების წინაშე?

საგარეჯოელ ახალგაზრდობას რატომ არ უნდა მოყრიდა ხელი შინაურულად გამართულ წარმოდგენებისათვის?


მაგრამ ამ საქმემ აქ გაიტაცა „მასწავლებელი და საკრედიტო ამხანაგობის დამაარსებელი“ ალექსანდრე ცხვეთაძე და საქმე სულ სხვა, სერიოზულ და ყურადსალები მხრივ წარიმართა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ადამიანის გარშემო მყისე თავი მოიყარა ნიჭიერ და მძლავრ ადამიანთა ჯგუფები, რომელნიც იმ ხანად, შეიძლება, მხოლოდ ინსტინქტიურად გრძნობდნენ, რომ ამ გასართობიდან დიდი და სერიოზული საქმე დადგებოდა მომავალში.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ეს რომ არა, სხვა რომელი ძალა აიძულებდა ყველა ამ პირთ 1886 წლის დარბევის შემდეგ, როდესაც დარბაზში ქუჩიდან მთვრალი მიკიტენები (თოთქმის პოლიციის პროვოკაციის წყალობით) ქვებს ისროდნენ, მტკიცეთ განეგრძოთ თავისი მუშაობა, გაემართათ წარმოდგენები, ყოველთვის ემზირათ პირველ რიგში გამოჭიმულ ბოქაულისათვის, ეცანანათ ყოველი „საეჭვო“ წარმოდგენის შემდეგ თავისი ნაამაგდოის მომავალის გამო, ეტკეპნათ თბილისში ვაკლენიან პირთა კარიბჭე, ერთი ბინიდან მეორეში გადასულიყვნენ, თხუთმეტი (თხუთმეტი!) წელიწადი ემუშავათ ინუ. მ. ქურდიანის კალოზე, სადაც დარბაზი

მოთავსებული იყო ჩარდახში, ხოლო სცენა — კალოზე.  
იქვე სურნელოვან ძნების გვერდით.

საგარეჯოს რაიონი იმ თავითვე ერთ-ერთ ყრაკე-  
თილსაიმედო რაიონად ითვლებოდა. საგარეჯოს რაიონი  
აწვდიდა ტფილის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეებს.  
საგარეჯოს რაიონში არ ყოფილან თავადი — ფეოდალე-  
ბი. რომლებზედაც შეეძლო დაყრდნობა თბილისის სასა-  
ხლეს.



თეატრის ეხლანდელი შენობა

ადვილი წარმოსადგენია ამიტომ, თუ რა ფხიზელი  
თვალით უთვალთვალებდნენ ყოველივე იმას, რაც საგა-  
რეჯოში ხდებოდა.

მაგრამ თეატრი, როგორც აშეარა „ცულლუტობა“,  
როგორც ეტყობა. განსაკუთრებულ შიშის არა ჰბადებდა.

მაგრამ სწორედ აქ იზრდებოდა „სენი“.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი წარმოდგენის შე-  
მოსახლი მოხმარდა აღგილობრივ წიგნთსაცავ-სამკი-

თხველოსათვის წიგნების შეძენას. შემდეგში ეს გარდუ-  
ვალ ტრადიციად გადაიქცა.

1905 წ. შემდეგ თეატრი „მართავდა წარმოლგე-  
ნებს, რომელთა შემოსავალი სოციალ-დემოკრატი. პარ-  
ტიის სალაროში მიღიოდა.

თეატრის გარშემო თავმოყრილმა მუშაკებმა შე-  
ჰქმნის მტკიცე და აქტიური ჯგუფი და ამავე დროს ცდი-  
ლობდნენ სათანადოთ გამოეყენებინათ თავისი ახალ-  
გაზრდული ენერგია და საზოგადოებრივი ინსტინქტი  
აგრეთვე სხვა საქმეებშიც. და კი, საერთო ძალებით,  
ა. ცხვეთაძის ხელმძღვანელობით, არსდება. კონპერა-  
ტივი, საკრედიტო ამხანაგობა.

ფოსტა თბილისიდან ვაზიანზე მოდიოდა, შემდეგ კი  
საგარეჯოს გვერდს უქცევდა და პირდაპირ გურჯაანში  
ჩადიოდა. თეატრმა მოახერხა თბილისიდან საგარეჯოში  
ფოსტის მოხელის დანიშვნა და თავისი ხარჯით დაიქი-  
რავა სართიშვალაში საფოსტო ბინა, დაიქირავა მოსამსა-  
ხურე, უზრუნველყო საფოსტო განყოფილება საიბობი  
მასალით. და ვანათების მხრივ იმ მიზნით, რომ ფოსტა  
დაუბრკოლებლივ პირდაპირ საგარეჯოში ჩასულიყო.


ამჟამად საგარეჯოში გახსნილია ცხრაწლედი, სადაც  
ორ წყებად ცხრასამდე მოწაფე სწავლობს. შეუძლებე-  
ლია სათანადოთ არ იქნეს დაფასებული ამ სკოლის მნი-  
შვნელობა მთელი რაიონისათვის. და მის შექმნა-დაარსე-  
ბაში, მის თანდათან ზრდა-განვითარებაში თვალსაჩინო  
წილი მიუძღვის აგრეთვე თეატრს, მასში მომუშავე  
პირთ.

ამასთანავე ერთად თანდათან ვითარდებოდა თვით  
თეატრიც. სცენის მოყვარეობამ აღვილი დაუთმო ხე-  
ლოვნებას, შემთხვევამ—სისტემას.

1910 წ. დაიბადა აზრი თეატრისათვის მუდმივი შე-  
ნობის აგებისა. ხოლო 1914 წ. საზოგადოებრს მიერ უფა-  
სოდ მეზობელ აღვილზე, ნაყაირათევი და შემოწირული  
ფულით უკვე აგებულ იქნა ქვის შენობა თეატრისათვის;  
რომელიც 500 მაყურებელს იტევს.

და, ვინ იცის, იქნება იმავე გლეხებმა, რომელიც 1886 წელს პქოლავდნენ მსახიობებს, ამჟამად თვითვი იყისრეს უფასოდ აგურის მოზიდვა მათი საკუთარი. სა-სოფლო თეატრის ასაშენებლად.

ამჟამად თეატრს „ყავს მუღმივი დასი, პროფესიონალ-მსახიობთაგან შემდგარი, წარმოდგენები რეგულია-რულად იმართება; გარდა ძირითადი ჯგუფისა არსე-ბობს მეორე, ახალგაზრდა გლეხების წრიდან გამოსულ მსახიობთა ჯგუფი, რომელიც, უნდა აღინიშნოს, საცე-



საგარეჯოს თეატრის სცენა.

ბით მათი მშობლიური თეატრის ტრადიციებზეა ალ-ზრდილი.

დღეს საგარეჯო თავისი თეატრის 50 წლის იუბი-ლეს დღესასწაულობს..

უნდა ვითიქროთ, რომ ეს საზეიმო თარიღია არა მარტო საგარეჯოსათვის, არამედ მთელი თეატრალური, კულტუროსანი საქართველოსათვის.


თეატრის მიერ განვლილი სახელოვანი გზა—ეს მხოლოდ საკომედიო მოქმედების, წარმოდგენის და სცენიური ჯაღოქრობის გზა როდია. ნათლად წარმოდგენილი მაქვს: „დაგილობრივ გაკეთებულ დეკორაციების უკან, მტვერით დაფარულ სცენის კუნძულებში, რეპეტიციების დროს, ანტრაქტების დროს ყველა ეს „პირველი გმირები“. „რეზონენორები“ და „პატივცემული მამები“ თავგამოდებით ბჭობენ, თუ ვინ იქნეს არჩეული კომპერატივის გამგეობის წევრად და როგორმე მალე მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამქირავებელი პუნქტი.

თავისი თეატრისა, სკოლისადმი სიყვარულთან ერთად იგინი თავისი სოფლის მოქალაქენი არიან, სოფლის საზოგადოებრივობის მოწინავე იაზმ წარმოადგენენ გენენ.

### ნიკ. ვირჩბიცეპი.

---

ვინაიდან ეს ბროშიურა გამოიცა სასწრაფოდ, ტეხნიკურ მიზეზებით ვერ მოხერხდა ბევრი საზოგადო მოღვაწის სურათის მოთავსება, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ საგარევულს თეატრის შექმნაში.



კურსულის ეროვნული ბიბლიოთეკი



K 223/1